პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 127 (18669) | პარასკევი, 3 ივნისი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

ზვრები გვიხმობს, მეზვრეებო!

ზვრები ჩვენი სიამაყე და სიმდიდრის წყაროა. ამიტომ ტრის, რომ ამ დალოცვილი ვაზის გამო მთელ წელიწადს მოსვენება არა აქვს მევენახეს, ვაზის გაჭირვებას პირად გაჭირვებად თვლის და აკი ამიტომაც დღენიადაგ ვენახს თავს დასტრიალებს, ელოლიავება ვაზს. განსაკუთრებით ზაფხულის დამდგეს უჭირს ხოლმე ჩვენს ზვრებს. სეტყვა და ხშირწვიმიანობა მეზვრეებს საშუალებას არ აძლევს მწკრივთაშორის მინა აგროვადებში და საკულდაგულოდ დაამუშაონ, ავადარი არც ვაზის ფურჩვნა-გალამაზებასა და ნამლობას აცლის ხოლმე.

ასე იყო შარშანწინ, შარშან, ასეა ნელსაც. სეტყვამ და სხვა სტიქიურმა მოვლენებმა გული გადაუღია შრომამოწყურებულ მეზვრეებს. ზოგან ვენახები აუბალახდათ და საკულტივაციო სამუშაოების შესრულება გაუჭირდათ, ზოგან ვაზი ისე გათამამდა, რომ ერთმანეთში გადაიბარდა და ფურჩნვა გაჭირდა, ამან კი მანქანების მოძრაობა გაართულა და შესასხურებელი აგრეგატების მუშაობა ერთობ გაართულა. მიუხედავად ავდრისა კი, გამრჯე და ვაზის ერთგული მეზვრის ვენახი, კოხტა პატარძალივით არის მოცლილი და ნაპატრონები, მტევნები უხვად მოუსხამს და გულუხვ რთველს გვპირდება.

კახეთის ძირითადად დიდი ზვრებითა და მუყაითი, გამრჯე მეზვრეებით იცნობენ, ყველა სოფელში შეგხვდებათ ასლა მუხლმაგარი, საზრიანი გამომეტყველების მევენახე, რომელიც გვიან საღამოს შაბიამნისფრად შეღებილი ტანსაცმლით შინ კმაყოფილი ბრუნდება. კმაყოფილი იმიტომ, რომ თავისი მარჩენალი ვაზი ავდარს არ დაარბაგრონა. განა ზშვიათად ხდება, როცა ღილით შენამლილ ვენახებს, შუადღისას ნვიმა ჩამორეცხავს ხოლმე. მაგრამ მეზვრე გამომამინდებისთანავე ნამლავს ვაზს, რომ დაავადება არ მიეკაროს. ასეთი საგულდაგულო, რომ იტყვიან ჯიბრიანი შრომით აჯობებს ხოლმე კი მევენახე უამინდობას. სწორედ ამ ერთგულებამ, შრომამ შეაყვარა მეზვრეს ვაზი. ასლაც ვისაც გულმხურვალედ უყვარს ეს დალოცვილი მცენარე, მის ვენახს აკეთდარი ვერაფერს აკლებს. აი ასეთი სიყვარულით შესანიშნავად მოვლილი ვენახები აქვთ გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, ჩუმლაყის, ველისციხის, ვეჟინის, ჭანდრის, არაშენდის, ნოთელეყაროს რაიონის ზემო ქედისა და არხილოსკალის, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევისა და მაღაროს, თელავის რაიონის ბუშეტის, ვანთის, სანირორის საზოგადოებრივ მეურნეობებს. ყვარლის რაიონის ბალღოჯიანის (თამაჯდღმარე — ი. სეფაშვილი), შილდის (კ. გელაძე) და გავაზის (რ. სესიაშვილი) კოლმეურნეობების ვენახები უამინდობის მიუხედავად ორჯერ გაფურჩნეს და გაალამაზეს, დაავადებათა საწინააღმდეგოდ სხვადასხვა სახის შხამქიმიკატებით ოთხჯერ-ხუთჯერ შეწამლეს და ვაზიც ჯანსაღად გამოიყურება, მტევნები უხვად მოუსხამს. ასევეა მთისძირისა და ახალსოფლის სანერგე მეურნეობებში (დირექტორები — შ. ადეიმშვილი და ი. ონაშვილი). განა ამ სოფლებიდან შორსაა ყვარლის მევენახეობისა და „ქინძმარაულის“ საბჭოთა მეურნეობების (დირექტორები — კ. ქემოკლიძე და ო. სამხარაული) ზვრები? მაგრამ აქ ვაზის ფურჩვნასა და სხვა სამუშაოებში ჩამორჩებიან. რა თქმა უნდა აქ გაუფურჩნავი ვაზისაგან დიდ სიკეთეს არ უნდა მოელოდნენ.

ასლა ზვრებში მთავარია ფურჩვნა, ნამლობა და მწკრივთაშორის მინის დამუშავება. აბალახებულ ზვრებში ყურძნის მტევანი სათანადოდ ვერ განვითარდება და დიდძალი მოსავალი დაიკარგება. ეტყობა ეს ვერ გაითვალისწინეს თელავის რაიონის კისისხევის (დირექტორი — ქ. კირვალიძე), ნაფარეულის (ვ. სუხიტაშვილი) საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა. ვენახებში ვაზის ძირების გამობარვასა და კულტივაციაში ჩამორჩნენ, ვენახებს ბალახი მოეძალა. ვაზის ფურჩვნაში ჩამორჩნენ ყარაჯალის ეთერნეთების, ქვემო ხოდაშნისა და ვარდისუბნის საზოგადოებრივი მეურნეობები. აქაურ ხელმძღვანელებსა და მევენახეებს ვაზისადმი მეტი გულისხმიერება და სიყვარული რომ გამოეჩინათ, ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა.

უფრო მეტი საზრუნავი აქვთ მცხეთის რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და მევენახეებს შემოდგომა-გაზაფხულის გვალვების, ზამთრის ყინვების გამო საკმაო ფართობზე ვაზები დაზიანდა, გვიან გაიფოთლა. ასეთი მდგომარეობა სხვა რაიონებშიც არის. მათ მევენახეობის დარგის მეცნიერ მუშაკთა რეკომენდაციებით უნდა იმოქმედონ, ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ზვრები მალე აღადგინონ.

დასავლეთ საქართველოს რეგიონების მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახები ისეა აბალახებული, რომ ვაზი ზოგან არც კი ჩანს, რაც უნინარესად მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა დაუდევრობაზე მეტყველებს. ეტყობა თვით მევენახეებსაც არ ანუხებთ ვაზის გასაჭირი, თუ არა უამინდობას როგორ დააჩაგვრინებდნენ ამ დალოცვილ მცენარეს!

ამ დღეებში თელავში გაიმართა ზონალური თათბირი, სადაც იმსჯელეს მევენახეობაში არსებულ მდგომარეობაზე. თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სეტყვისა და სხვა სტიქიური მოვლენების გამო ზვრებში შეიქმნა ჭრაქისა და სხვა დაავადებების, ტკბილეთე მავნებლების გავრცელების საშიშროება. ბევრგან ლიკვიდირებულია უამინდობით გამოწვეული დაავადებების კერები, შეჩერებულია ვაზის მავნებელთა გავრცელება. სპეციალური პრეპარატებით უკვე დამუშავებულია 50 ათას ჰექტარზე მეტი ზვრები. მაგრამ ეს დამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლებას არ გვაძლევს. სეტყვისა და სხვა სტიქიური მოვლენებისაგან დაზღვეული როდი ვართ. რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების სადღეისო ამოცანა ის არის, რომ არ დაუშვან ვაზის დაავადებებისა და მავნებლების გავრცელება, ყველაღონე იხმარონ იმისათვის, რომ უამინდობით გამოწვეული ზიანი სულ მალე აღიკვეთოს.

მეზვრეებო, ზვრები გვიხმობსო, რომ ვამბობთ, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ზვრების მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა მხოლოდ მევენახეთა საქმე იყოს. სოფლად მცხოვრები სხვადასხვა წარმოება-დანესებულებაში მომუშავეთა, უფროსკლასელ მოსწავლეთა საპატიო ვალია ამ დღეებში მხარში ამოუდგნენ მეზვრეებს უამინდობის გამო გამოწვეულ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება უსწრაფესად აღმოფხვრაში. ზვრების მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის ყურძნის მოსავლის გადასარჩენად ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ თითოეულმა ვაზმა მოგვცეს იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია. ამას შეეძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა სასოფლო რაიონების პარტიული ორგანიზაციები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ორგანიზებულად, საქმის დიდი სიყვარულით ხელმძღვანელებენ მართავენ მუშაობას. ამით დიდ და საპატიო ნელილს შეკრებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, სასურსათო პროგრამის შესრულების საქმეში.

ზვრები გვიხმობს, ზვრებს მიეხედოთ, მეგობრებო!

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება 1983 წლის 4 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობებისგაცემა იწარმოებს 3 ივნისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19, 93-78-07 და 99-56-18.

4 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1983 წლის 4 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ი. ვ. ანდროპოვმა მიიღო ავერელ და ჰამელა ჰარიმანები

2 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ავერელ ჰარიმანი და მისი მეუღლე ჰამელა ჰარიმანი.

საუბრის დროს ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ახსოვთ ა. ჰარიმანის ნაყოფიერი მოღვაწეობა 40 წლის წინათ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის პოსტზე. მაშინ ჩვენი ქვეყნები მოკავშირეები იყვნენ, ერთად იცავდნენ მსოფლიოს ფაშისტური საფრთხისაგან. დღეს საბჭოთა ადამიანებსა და ამერიკელებს აგრეთვე ჰყავთ საერთო მტერი — ომის საფრთხე, რომელიც თავისი დამანგრეველი შედეგებით შეუდარებელია გადატანილ ომთან.

თითქოს ამ საფრთხის შეგნება უნდა იყოს სწორედ საერთო მნიშვნელი, რომელიც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს აღუძრავს სურვილს გამოიჩინონ თავშეკავება და რომელიც შეიძლება გახდეს იმ საერთო მეცადინეობის საფუძველი, რომ მიაღწიონ ურთიერთმისაღებ მორიგებებს, რათა არ მოხდეს გამოუსწორებელი რამ. სამწუხაროდ, თქვა ი. ვ. ანდროპოვმა, საქმისადმი ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის ასეთ პასუხისმგებლურ მიდგომას ვერ ვხედავთ. პოლიტიკა, რომლის მიზანია მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან შედარებით და უკარნახოს მას თავისი პირობები, უპერსპექტივოა. იგი მხოლოდ აბათილებს ყოველივე იმ პოზიტიურს, რაც წინათ იყო მიღწეული სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში, და ძირს უთხრის მათი ურთიერთნდობის საფუძვლებს. ამის შედეგად შეიქმნა ვითარება, რომელშაც არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს.

შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას, ხაზგასმით აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა, ვუდგებით მეტად სერიოზულად, რადგან გვესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაბარი, ურთიერთხელსაყრელი, უმჯობესია კი კეთილმეზობლური ურთიერთობის კურსი — ეს არის ჩვენი პოლიტიკის გენერალური გეზი. ურთიერთობის ნორმალიზაციითა და თანასწორუფლებიან საფუძველზე მისი განვითარებით მოიგებენ ამერიკელებიც, საბჭოთა ადამიანებიც, სხვა ქვეყნების ხალხებიც.

დარწმუნებული ვართ, ხაზგასმით აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა, რომ ახლანდელ საერთაშორისო პირობებში, საერთო სტრატეგიული ვითარებისა და მსოფლიოში მზარდი აფეთქებასაშიში პრობლემების გათვალისწინებით, სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები თავს ნებას ვერ მისცემენ აიღონ სამხედრო მეტოქეობის გეზი. ყველა ხალხის ინტერესები მოითხოვს მათს კონსტრუქციულ ურთიერთმოქმედებას. ცხადია, რომ შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მორიგებათა მიღწევისათვის ხელიდან გაშვებული ყოველი წელი წარმოშობს ახალ პრობლემებს, აძნელებს გამალებული შეიარაღების ალაგმვის ამოცანის გადაწყვეტას.

ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ჯეროვნად აფასებენ ავერელ ჰარიმანისა და ჰამელა ჰარიმანის ერთგულებას საბჭოთა და ამერიკელი ხალხების ურთიერთგაგების განმტკიცების საქმისადმი, მათს მეცადინეობას, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესება.

ცოლ-ქმარმა ჰარიმანებმა შეშფოთება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის გამო და მზარი დაუჭირეს მის ნორმალიზაციას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის. მათ მადლობა გადაიხადეს მასპინძლობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირში გაუწიეს.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი. (საკდესი).

სურათზე: საუბრის დროს. საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

დაათვალიერეს გამოფენა „ავტომატიზაცია-83“

2 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა დაათვალიერეს საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „ავტომატიზაცია-83“.

საბჭოთა განყოფილებაში დიდი ყურადღება მიიპყრო საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ახალმა საშუალებებმა, ავტომატური მართვისა და დაპროექტების სისტემებმა, რობოტექნიკამ და მიკროპროცესორულმა მოწყობილობებმა. პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მათ სულ უფრო მეტი რაოდენობით ქმნის ქვეყნის ინდუსტრია.

ექსპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განყოფილებებს, რომლებიც მიეძღვნა ავტომატიზაციას მანქანათმშენებლობაში, ატომურ ენერგეტიკაში, აგროსამრეწველო კომპლექსში, მეცნიერული კვლევისა და გარემოს დაცვის ხელსაწყოებს.

პავილიონების დათვალიერების დროს გამართულ საუბარში დიდი ყურადღება დაეთმო წარმოების ავტომატიზაციისა და მეცნიერულ გამოკვლევათა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში ინტეგრაციისა და კოოპერაციის საკითხებს.

მაღალი შეფასება მიეცა საბჭოთა მრეწველობის მიღწევებს და გამოითქვა რწმენა, რომ „ავტომატიზაცია-83“ გამოფენის მოწყობა გაფაფართოებს ხელსაყრელ საერთაშორისო ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ კავშირ-ურთიერთობას.

გამოფენაზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. კ. ანტონოვი, ი. ი. ბოდიული, გ. ი. მარჩუკი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ვ. ტალიზინი.

ექსპოზიციას განმარტავდა გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი მ. ს. შკაბარდნა. (საკდესი).

სიმზეო სახელოვანი

კახეთის გზატკეცილზე, თბილისში ერთი მაღალი შენობა დგას თითქმის განმარტოებით. შორიდანაც კარგად მოჩანს წარწერა: „სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკა“. მისი მშრომელთა კოლექტივი მრავალრიცხოვანია. ყველას აქვს, რა თქმა უნდა, შრომის წიგნაკი. იგი მათი საქმიანობის ნამდვილი ხარკეა. აქედან გაიგებ ვის რამდენი სამუშაო ადგილი აქვს გამოცვლილი: ზოგს — ბევრი, ზოგს — ცოტა. მაგრამ არის ისეთი შრომის წიგნაკიც, რომლის პატრონს იმ ერთი სამუშაო ადგილიდან ფეხი აღარ მოუცვლია. ასეთი კაცი არის, ეს გახლავთ სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკის მოდელისტი ავთანდილ ჭურხული.

მისი სამუშაო ოთახი მეორე სართულზეა.

შევაღე კარი.

თუ არა, გული დაუდგია აქაური საქმიანობისთვის. უთქმელადაც მიხვდება დაკვირვებული ადამიანი, რომ ავთანდილს სიყმაწვილეშივე სცოდნია: სახელი და დიდება იქმნივა, სადაც კარგად იმუშავებ. რასაც დაავალებდნენ, ავთანდილი გულდაგულ ასრულებდა. ჯერ კიდევ მუშად ყოფნის დროს, ხულ იმას ცდილობდა, მისი ხელიდან ლამაზი რამ გამოსულიყო. ამით თავიდანვე მიიქცია უფროსების ყურადღება, შეუწყვეს ხელი, რომ დაესწრებლად დაემთავრებინა მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი.

საშუალო ტექნიკური განათლება რომ მიიღო, საქმეს მეტი მინდომებით მოეკიდა ავთანდილ ჭურხული. სამოდელო საქმე უყვარდა. კიდევ უფრო რომ დახელოვნებულიყო, ლენინგრადში გაგზავნეს ფეხსაცმლის სამოდელო კურსებზე, ბევრი რამ აითვისა აქ და შემდეგ თავის მშობლიურ ფაბრიკაში შეუდგა მის დანერგვას.

ხშირად გვესმის ხოლმე: ჩემი მშობლიური დაწესებულებაო. ავთანდილ ჭურხულიც გულწრფელად ამბობს: ჩემი მშობლიური ფაბრიკაო.

ახლა ავთანდილი სულ საქმით არის გართული. საფიქრალს რა გამოუღევს, მაგრამ მარტო თავის სამუშაო ოთახში როდია ჩაკეტილი, გამოდის საზოგადოებაში, უყვარს. ყველას თავაზიანურ ჩაცმა-დახურვა უყვარს. ... ტომ შეეკმენი ბევრი სხვადასხვანაირი მოდელი. გარდა ამისა, ყველაზერი ძველდება, ძველდება ფეხსაცმლის ფორმაც, თუნდაც ერთ დროს ძალიან ლამაზი. ესეც შეცვლას მოითხოვს.

ეს ლიტონი სიტყვა როდია, ამაში მის სამუშაო ოთახში ერთი მიხედვ-მოხედვითაც კი დარწმუნდება კაცი. მისი გრძელი მაგიდა მოფენილია ნახაზებით, რაღაც მიგრილ-მოგრილი ფორმებით, კალაპოტებით, ამათგან გამოიკვეთება შემდეგში ახალი ფორმის ფეხსაცმელი.

— ამდენ მოდელებს რომ აკეთებთ, ალბათ, პრემიებიც ასევე ბევრი გეკნებათ.

— დიახ, პრემიებიც არის, მომიგია მოკლედ.

მერე მიბრუნდა, გვერდზე წყვილ-წყვილად დალაგებული ფეხსაცმელებიდან ერთი აიღო, — ეს ჩემი სულ უკანასკნელი მოდელის ფეხსაცმელია.

გამოვართვი. დავაკვირდი გულდასმით. არ აკლდა სილამაზე.

ბევრი ოსტატი ისეთია, რომ თავისი საქმიანობის საიდუმლოებას სხვას არ გაანდობს, არ ზრუნავს თავის შემცვლელ თაობაზე. მაგრამ ავთანდილი ამაშიც სხვაგვარი კაცია, თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს.

— ჩვენ ხომ მუდამ არ ვიქნებით, მოვალენ შემცვლელები, მაგრამ ისინი თავისთავად მოულოდნელად კი არ ჩამოფრინდებიან ამ ფაბრიკაში. ჩვენ უნდა მოვამზადოთ. ორი მოდელისტი, რომლებიც აქ დაეუფლნენ ამ საქმეს, ქუთაისში გაიგზავნა სამუშაოდ.

ავთანდილი ამ ფაბრიკას თავის ოჯახს ეძახის, მართლაც, უმეტეს დროს აქ ატარებს, მაგრამ უანრეველეს ყოველსა მას აქვს თავისი საკუთარი ქართული ოჯახი. სადამოს, შინ რომ ბრუნდება, მიიქეს ოჯახისათვის ძალიან დიდი განძი—სითბო, ერთგულება და სიყვარული. ორი შვილი ყავს: თამარი და ლია.

თამაზმა დაამთავრა პროფტექნიკური ხასწავლებელი და იმავე ფაბრიკაში, ახე ვთქვათ, მამის გვერდით მუშაობს მექანიკურ საამქროში, ლია კი სწავლობს.

ავთანდილ ჭურხული საქმისათვის გულდადებული კაცია. კარგმა საქმიანობამ ასლა უკვე ქარნახის კედლებს გარეთაც გამოიტანა ავთანდილის სახელი.

ლავრენტი ჭიჭინაძე.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ქ. სანაძის ნახატი.

გულდანდობილი

დიდ ოთახში გრძელი მაგიდის თავში იჯდა შავგვრემანი კაცი, დამნახა თუ არა, წამოდგა. ნახაზებიანი ქაღალდი მაგიდაზე დადო. ჩემკენ წამოვიდა მკვრივი აგებულების კაცი. ვიყაკაცურ სახეს უხდებოდა მასპინძლისათვის დამახასიათებელი ღიმილი. ავთანდილი საშუალო ტანისაა, ბალარა ოდნავ შეჭაღარია საფეთქლებთან.

გავეცანით ერთმანეთს.

— წინათ ერთ სახელოვან ჭურხულს ვიცნობდი.

— რომელს? — მკითხა ავთანდილმა.

— ილიკოს, ხალხს მუსიკას რომ ასწავლიდა.

— ის მამაჩემის ალალი ბიძაშვილი იყო.

ავთანდილს ნახევარი საუკუნე გადაულახავს. სამმეოთეული წლის წინათ ამ ფაბრიკაში დაუწყია სამსახური მუშის თანამდებობაზე. იგი ასლა რომ დინჯი კაცი ჩანს, ასაკიც ავალდებულებს, მაგრამ სიდინჯე არც ახალგაზრდობაში ჰკლებია, ეს იმით დასტურდება, რომ მოსულა ვირდება ხალხს — დიდსა და პატარას, ეცნობა მათ სურვილებს, მოთხოვნილებას და თავის ახალ-ახალ მოდელს მომზმარებლის ხურვილს უფარდებს. წელიწადში ოთხი დროა. ყოველ დროს თავისი შესაფერისი ფეხსაცმელი უხდება. მაგრამ ავთანდილი განა ერთხელ შემუშავებული მოდელით კმაყოფილდება? ის სულ ახალ მოდელზე ფიქრობს. დახვეწილგემოვნებიანი მომზმარებლის თანამგზავრია ამ ფიქრსა და ახალ-ახალი მოდელის შექმნაში მიდის დრო...

— ავთანდილ, ერთი, მითხარი, სულ რამდენი მოდელი გაქვს? — ვეკითხები.

მეგონა ხუთს ან ათს დაახასელებდა, მაგრამ ჩემი მოლოდინი ძალიან შორს მოტოვა, როცა მითხრა:

— ბევრი, ძალიან ბევრი, აღარც მახსოვს რამდენი! წლის დროსთან შეფარდებით ხომ ვაკეთებ და ვაკეთებ მოდელებს. მაგრამ აქ შერჩევა არ შეიძლება. ყველა კაცს განსხვავებული გემოვნება აქვს. ამ ფაბრიკაში ... ტომ შეეკმენი ბევრი სხვადასხვანაირი მოდელი. გარდა ამისა, ყველაზერი ძველდება, ძველდება ფეხსაცმლის ფორმაც, თუნდაც ერთ დროს ძალიან ლამაზი. ესეც შეცვლას მოითხოვს.

ეს ლიტონი სიტყვა როდია, ამაში მის სამუშაო ოთახში ერთი მიხედვ-მოხედვითაც კი დარწმუნდება კაცი. მისი გრძელი მაგიდა მოფენილია ნახაზებით, რაღაც მიგრილ-მოგრილი ფორმებით, კალაპოტებით, ამათგან გამოიკვეთება შემდეგში ახალი ფოტ რმის ფეხსაცმელი.

— ამდენ მოდელებს რომ აკეთებთ, ალბათ, პრემიებიც ასევე ბევრი გეკნებათ.

— დიახ, პრემიებიც არის, მომიგია მოკლედ.

მერე მიბრუნდა, გვერდზე წყვილ-წყვილად დალაგებული ფეხსაცმელებიდან ერთი აიღო, — ეს ჩემი სულ უკანასკნელი მოდელის ფეხსაცმელია.

გამოვართვი. დავაკვირდი გულდასმით. არ აკლდა სილამაზე.

ბევრი ოსტატი ისეთია, რომ თავისი საქმიანობის საიდუმლოებას სხვას არ გაანდობს, არ ზრუნავს თავის შემცვლელ თაობაზე. მაგრამ ავთანდილი ამაშიც სხვაგვარი კაცია, თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს.

— ჩვენ ხომ მუდამ არ ვიქნებით, მოვალენ შემცვლელები, მაგრამ ისინი თავისთავად მოულოდნელად კი არ ჩამოფრინდებიან ამ ფაბრიკაში. ჩვენ უნდა მოვამზადოთ. ორი მოდელისტი, რომლებიც აქ დაეუფლნენ ამ საქმეს, ქუთაისში გაიგზავნა სამუშაოდ.

ავთანდილი ამ ფაბრიკას თავის ოჯახს ეძახის, მართლაც, უმეტეს დროს აქ ატარებს, მაგრამ უანრეველეს ყოველსა მას აქვს თავისი საკუთარი ქართული ოჯახი. სადამოს, შინ რომ ბრუნდება, მიიქეს ოჯახისათვის ძალიან დიდი განძი—სითბო, ერთგულება და სიყვარული. ორი შვილი ყავს: თამარი და ლია.

თამაზმა დაამთავრა პროფტექნიკური ხასწავლებელი და იმავე ფაბრიკაში, ახე ვთქვათ, მამის გვერდით მუშაობს მექანიკურ საამქროში, ლია კი სწავლობს.

ავთანდილ ჭურხული საქმისათვის გულდადებული კაცია. კარგმა საქმიანობამ ასლა უკვე ქარნახის კედლებს გარეთაც გამოიტანა ავთანდილის სახელი.

ლავრენტი ჭიჭინაძე.

სურათზე: სიმპოზიუმის მონაწილენი სამოთავიში.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეხვედრა სასარგებლო იქო

— ასეთია ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი. ისინი ეწვევნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც გაეცნენ უძველეს ფოლიანტებს, ძველი ქართული ხელნაწერების ფოტოპირებს, დათვალიერეს საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი, დაესწრნენ გამოფენის — „ქართული მონუმენტური ფერწერა-კონსერვაცია და ფიქსაცია“ — გახსნას, ნახეს ფალიმეველის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი — რ. მტრაუსის „სალომე“.

აი რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ვენეციის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა ლუიჯი მაგაროტომ:

— მე ვიყავი ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სამი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე. ძირითადად, მაინტერესებს თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ხელოვნება. შარშან რომში გამოვიდა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ჩემ მიერ თარგმნილი ყველაზე პოპულარული ლექსების წიგნი.

ახლახან ვთარგმნე და გამოსაცემად მოვამზადე ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებები.

რომში გამოიცა პოეზიის კრებული, რომელშიც, კერძოდ, შევიდა გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის, კ. ნადირაძის, ვ. გაფრინდაშვილის ჩემ მიერ თარგმნილი ლექსები.

სიმპოზიუმი დასასრულს უახლოვდება. საქართველოდან გაეგზავნებიან სტუმრები, თან წაიღებენ დიდძალ საინტერესო მასალას, რომელიც შეავა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ ახალ წიგნებსა და კრებულებში. მე კიდევ ორ თვეს დავრჩები თბილისში — შევკრებ მასალას ახალი წიგნისათვის „თბილისი, როგორც XIX საუკუნის კავკასიის კულტურის ცენტრი“. ვოცნებობ დაწერო წიგნი XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაზე, ფერწერასა და მუსიკაზე.

მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ბერნარდ შოლცმა, რომელმაც სიმპოზიუმზე გააკეთა მოხსენება „ქართული, რუსული და დასავლეთევროპული მოდერნიზმის წიგნის მხატვრული გაფორმება. (1910-1924 წლები)“, თქვა, რომ მალე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოვა ხელოვნების შესახებ მის მიერ შედგენილი სტატიების კრებული. მასში შევა ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის სტატიები.

— პირადად მე და ჩემი კოლეგები, — თქვა დასასრულ ბ. შოლცმა, — დიდ მადლობას ვუხდით სიმპოზიუმის მომწყობთ, საქართველოს მთავრობას, და ვუსურვებთ შემდგომ აყვავებას ქართველ ხალხს — ძველი და დიდი კულტურის მემკვიდრეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

რესპუბლიკის საბინაო მეურნეობის განვითარებასთან, საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ამოცანები განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორი მუდმივი კომისიის — კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე. სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტი და დაადგინეს — სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით იგი განსახილველად წარუდგინონ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომებზე განიხილეს აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში სამინისტროს რჩევა მიეცა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი თავისი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გაერთიანებული სხდომის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ი. პატიაშვილმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

განიხილავენ მნიშვნელოვან პროგრამას

უცხოეთის ლიცენზიების შესყიდვასა და ათვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს ინტენსიური განვითარების გზაზე ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაცი

ცოდნა ვაქციოთ მრწამსად და მოქმედებად

დამთავრდა სასწავლო წელი პარტიული სწავლებისა და მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში. განვლილი წლის შედეგებს, იმას, თუ რა სიახლე მოიტანა მან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში, რა პრობლემები წარმოიჩინა, რომელთა გადაჭრა მოუწევს მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემას მომავალ სასწავლო წელს, — საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში შეეხო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგე დ. ა. კიკნაძე.

— ახლა უკვე მთელი გარკვეულობით შეიძლება ვთქვათ: პოლიტიკური განათლების სისტემის ორგანიზაციულმა და თვისებრივმა გარდაქმნამ, რომელიც შარშან განხორციელდა, სრულიად გაამართლა თავისი დანიშნულება. მიზნობრივი ნიშნით სკოლებისა და სემინარების დაკომპლექტებამ, რამაც საშუალება მოგვცა მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა მსმენელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონე, პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა, მათი ინტერესები, რეალური ნაყოფი გამოიღო. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა შემაჯამებელი მეცადინეობანი, რომლებიც მაღალორგანიზებულად, იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გაიმართა 32187-ვე სკოლაში და სემინარიებში. ისინი აღინიშნა კონკრეტულობით, საქმიანობით, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით და ცხადყო პარტიული სწავლების ახალი სტრუქტურის უპირატესობა, რომელსაც საფუძვლად დაედო ნებაყოფლობის, მემკვიდრეობითობის, თანამშრომლობის პრინციპები. ეს თვალსაზრისი გამოვლინდა ახალგაზრდა კომუნისტების, მეცნიერული კომუნიზმის, იდეოლოგიური აქტივის სკოლებში, რომლებიც შარშან პირველად შეიქმნა, გავლენა მოახდინა მათს შედეგიანობაზე.

უკვე სასწავლო წლის დაწყებისათვის 6 ათასამდე პროპაგანდისტმა გაიარა მომზადება და გადამზადება ორკვირიან და მოკლეუვადიან კურსებზე, ხოლო მთელი წლის განმავლობაში პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლთან არსებულ შუდმივმოქმედ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა კიდევ ორი ათასზე მეტმა პროპაგანდისტმა. ამან ხელი შეუწყო მსმენელებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, სწავლების ქმედითობის, მეცადინეობის ეფექტიანობის ამაღლებას.

კიდევ უფრო განვითარდა პოლიტსკოლებისა და სემინარებისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკების შეფობა. ხელმძღვანელი კადრების პირადმა, უშუალო კონტაქტებმა მშრომელებთან დადებითი გავლენა მოახდინა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების იდეურ დონეზე. ასეთი კონტაქტები მორალურად ამაღლებს მსმენელებს, უსახავს პირადი ინიციატივისა და შემოქმედების ფართო ასპარეზს, უდიდებს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. და ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გადაჭარბებით შეეფასოთ ამგვარი კონტაქტების მნიშვნელობა, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს განვლილი შემაჯამებელი მეცადინეობანი.

ბუნებრივია, ამ მეცადინეობის, ისევე, როგორც წინა მეცადინეობის შინაარსსა და მიმართულებას განსაზღვრავდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიღებებანი. ამასთან ერთად მსმენელთა ყურადღების ცენტრში მთელი სასწავლო წლის მანძილზე იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავისა და გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი, რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადება. პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ყველა რგოლისათვის მოქმედების სახელმძღვანელოდ იქცა დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლები, რომლებშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების მომდინარე და პერსპექტიული ამოცანები.

ამ ამოცანებმა განსაზღვრა შემაჯამებელ მეცადინეობათა შინაარსი. ამ მეცადინეობებზე სერიოზულ და საქმიან სჯა-ბაასს ტონი მისცა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის პროპაგანდისტთა და მსმენელთა რეფერატების რესპუბლიკურმა კონკურსმა იმ თემატიკით, რომელიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, და მეცნიერული კომუნიზმის სკოლების დათვალიერებამ, სადაც სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ გამოცდილებას. ისინი გიმართა შემაჯამებელი. მეცადინეობის წინ და მათ შესამჩნევად გააქტიურეს პოლიტიკური განათლების ყველა რგოლის მუშაობა, ხელი შეუწყვეს კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითს შესწავლას, პარტიის გეგმების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვას. საკმარისია ვფქვათ, რომ კონკურსზე წარმოდგენილი რეფერატების მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობა მიიღო 273 ათასზე მეტმა კაცმა, რეფერატების თითქმის ნახევარმა — 48239, რომლებშიც განზოგადებულია პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილება, ავტორიტეტული ეიურის მაღალი შეფასება მიიღო.

ამგვარად, რეფერატების დაცვა, შემაჯამებელი მეცადინეობანი გახდა თავიანთი თეორიული დონის ამაღლებისათვის მსმენელთა მუშაობის, შეგნების, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის დათვალიერება. მაგრამ ამკამად, როცა ვაჯამებთ განვლილი წლის შედეგებს და ვემზადებით მომავალი სასწავლო წლისათვის, საჭიროა მთელი პრინციპულობით გავანალიზოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კერძოდ, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ფორმალიზმს, ზერეულობას სწავლებაში, ცხოვრებისაგან მის მოწყვეტას, რაც ზოგან ჯერ კიდევ შეინიშნება. მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ პროპაგანდისტების შერჩევასა და მომზადებას, მივაღწიოთ იმას, რომ საუკეთესოთა გამოცდილება ყველას ეუთვნოდეს გახდეს, რომ მსმენელების მიერ შეძენილი ცოდნა აუცილებლად გადაიქცეს მრწამსად, პრაქტიკულ საქმეებად.

გაზეთ „კომუნისტის“ დაარსების დღე 3 ივნისია. სამოცდასამი წლის წინათ ამ დღეს მიიღო ქართველმა მკითხველმა გაზეთის პირველი ნომერი. ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის მშრომელებმა 45 წლის წინათ ამ დღის უწოდეს თავიანთ კოლმეურნეობას გაზეთ „კომუნისტის“ სახელი.

ხუთი წლის წინათ კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა, გაზეთის სახელი დარჩელელებმა შეინარჩუნეს. აქედან მოყოლებული საქმეც სახიკეთოდ შემობრუნდა. მეურნეობას ენერგიული, საქმის მოყვარე და მცოდნე კაცი რომ ჯალაღონია ხელმძღვანელობს. ეს რამდენიმე წელია მეურნეობა ისე მოღონიერდა, რომ მოგებასაც იძლევა.



ДАРЧИЛИ ОРИОЛДУ ФАКТИ გავიხსენოთ:

ქალაქ რუსთავის ერთ-ერთ მშენებარე რაიონში საექსპლოატაციოდ მიღებული მრავალსართულიანი შენობა თითქმის ერთი მეტრით გადაიხარა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კატასტროფა. წყალში იყრებოდა მშენებლობისათვის დახარჯული დიდძალი სახელმწიფო სახსრები. მშენებლებმა დახმარებისათვის მეცნიერებს მიმართეს. და აი, მათი რეკომენდაციით დროულად და სიზრაზად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შენობაც მწყობრში ჩადგა და აღდგენითი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხიდან თითქმის 40.000 მანეთიც დაიზოგა;

უდავოდ, პროგრესული იყო ჩვენი ვენახების ზვრებში ხის ჭიგოების ნაცვლად რკინაბეტონის ჭიგოების გამოჩენა, რამაც დიდძალი ხე-ტყე დაუზოგა ჩვენს რესპუბლიკას, მაგრამ გაჩნდა სიახლე და გაჩნდა მისი მტერიც— კოროზია. მეურნეობებში გადაყრილი, გამოსაყენებლად უვარგისი რკინაბეტონის ჭიგოების გორები წამოიმართა.

საქმეს აქაც მეცნიერთა ჩარევამ უშველა — შემუშავდა რკინაბეტონის ჭიგოების ანტიკოროზიული დამუშავების ახალი ტექნოლოგია გოგირდის ხსნარის გამოყენებით, რამაც მინიმუმამდე შეამცირა კოროზიის გაჩენის საშიშროება და რამდენჯერმე გაზარდა ნაკეთობის სიმტკიცე და გამძლეობა.

ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთს კი დავძენთ: არ ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში რაიმე მნიშვნელოვანი სამშენებლო საქმე, რომლის ხორცშესხმაშიც ქმედითი მონაწილეობა არ მიეღოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს.

თავისი დაარსების დღიდან აი უკვე 35 წელია ინსტიტუტი წარმოებასთან მჭიდრო კავშირით წარმატებით იღგწის პარტიის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გეგმების შესასრულებლად. წარმოებასთან შემოქმედებითი ურთიერთობის შესანიშნავ ტრადიციას საფუძველი ჯერ კიდევ ამ ინსტიტუტის დამაარსებელმა აკადემიკოსმა კირიაკ ზავრიევმა ჩაუყარა. იგი თავად გახლდათ ღრმად ერუდირებული მეცნიერ-თეორეტიკოსისა და გამოცდილი პრაქტიკოს-ინჟინრის სპეციფიკის შესანიშნავი მაგალითი. ამ ტრადიციით ზრდიდა ინსტიტუტში მოსული ახალგაზრდობას ქართული ტექნიკური მეცნიერების შესანიშნავი წარმომადგენელი, თვალსაჩინო მეცნიერი და ინჟინერი აკადემიკოსი ოთარ ონიაშვილი.

„კომპლექსურად, ფართო და პრინციპული პარტიული პოზიციებიდან მივუდგეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ განვითარებასთან, მათი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებასთან“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის ეს სიტყვები, წარმოთქმული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე, მთელი ინსტიტუტის საქმიანობის მუშაობის წარმმართველ მიზნად იქცა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის ახალ ეტაპზე, რომლის ნიშანდობლივი თვისება მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ოპტიმალური ფორმების ძიება და დამკვიდრებაა.

ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას სეისმომედეგობის საქვეყნოდ აღიარებული ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი შოთ ნაფეტვარიძე, მთელი ჩვენი რესპუბლიკისათვის სამშენებლო დარგის საბაზისო დაწესებულებაა. მისი 205 მეცნიერი თანამშრომელი, რომელთაგან 4 მეცნიერებათა დოქტორი და 58 მეცნიერებათა კანდიდატია, გაერთიანებულია 14 სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ქვეგანაყოფში. ინსტიტუტს ლიდერი აქვს შესანიშნავი ექსპერიმენტული ბაზა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ხელსაწყოებითა და საზომი აპარატურით. აქ სამშენებლო კონსტრუქციების გამოსაცდელად შექმნილია ძალოვან დანადგართა ლაბორატორია, სადაც დამონტაჟებულია მძლავრი სეისმური ბაქანი. სწორედ ამ ბაქანზე გამოიცადა ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალის ხიდეებისა და საყრდენი კედლების მსხვილმასშტაბიანი მოდელები, რის შედეგებიც აისახა სათანადო რეკომენდაციებში და გამოყენებულია აღნიშნული მაგისტრალის საგზაო ნაგებობათა პროექტირებასა და მშენებლობაში.

კვალიფიციური მეცნიერული კადრების შემოკრებამ და მძლავრმა ტექნიკურ-ექსპერიმენტულმა ბაზამ, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუტი დარგობრივი პროფილის თითქმის ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციაა ჩვენს რესპუბლიკაში, განაპირობა მისი ავტორიტეტული მდგომარეობა საქართველოს სამშენებლო საქმის ძირითად მიმართულებებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით განისაზღვრა ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის პრობლემური მიმართულებები: ნაგებობათა სეისმომედეგობა, სივრცითი კონსტრუქციების სამშენებლო მექანიკა და საშენ მასალათა ფიზიკურ-ქიმიური მექანიკა.

წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის მიხედვით ინსტიტუტი ასრულებს საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემის გეგმით გათვალისწინებულ 5 თემა-დავალებას, რესპუბლიკური მნიშვნელობის 19 თემა-დავალებას, რომელთაგან 6 საქართველოს სსრ სოციალური და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო გეგმით არის ნაკარნახევი, ხოლო 11 — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერებათა დარგის გეგმებით.

ცნობილია, რომ სამეცნიერო ინსტიტუტის მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელი საინჟინრო ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობისათვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების სეისმომედეგობის დინამიკური თეორიის საფუძველზე და დღესაც მთელ ჩვენს ქვეყანაში მოწინავეობენ ამ დარგში. ამის დასტურია ის 5 საკავშირო ნორმატიული დოკუმენტი, რომლებიც დამუშავდა ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით. საინჟინრო ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგში ინსტიტუტი ითვლება საკავშირო მნიშვნელობის მეთაურ ორგანიზაციად.

საინჟინრო სეისმოლოგიისა და სეისმომედეგობის თეორიისა და სეისმური მიკროდარაიონების განყოფილებებში მიღებული შედეგებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სეისმური მიკროდარაიონების რიცხვითი კომპლექსური მეთოდიკის შექმნა და მისი დანერგვა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის რკინიგზის სადგურების სამშენებლო მოედნებისა და საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის დიდ მშენებლობებზე. ამ მეთოდიკის გამოყენების საერთო ეკონომიკურმა ეფექტმა 4 მილიონ 14 ათასი მანეთი შეადგინა. მეთოდიკა გამოიყენეს საზღვარგარეთაც — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ატომური ელექტროსადგურის დაპროექტებაში მიღებული ახალი საანგარიშო ალგორითმების კვლევის შედეგები სივრცითი კონსტრუქციების სამშენებლო მექანიკის დარგში გამოყენებულია ენგურისა და ხუდონის თაღოვანი კაშხლების გაანგარიშებაში. განყოფილებაში წარმატებით იკვლევენ სისტემების ორგანზომილებიანი სივრცით სისტემების სიმტკიცის პრობლემებთან დაკავშირებულ ახალ ამოცანებს. პროფესორ ა. ლოსაბერიძის მიერ დამუშავებული სასრული ზოლთა მეთოდი საშუალებას გვაძლევს საანგარიშო ალგორითმების დამუშავებისას გავითვალისწინოთ ნაგებობათა მუშაობის რეალური პირობები. მაგალითად, დამუშავდა ახალი საანგარიშო მოდელი, რომელიც თაღოვან კაშხალს, მდინარის ხეობას და წყალსაცავს განიხილავს როგორც ერთიან სისტემას. ამ განყოფილებაში წარმოებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გამოყენებულია მოსკოვის ოლიმპიური ამენლეტსის უნიკალური ობიექტების — 220-მეტრიანი მალის მქონე დახურული ტატდინისა და სხვათა გაანგარიშებისა და დაპროექტების დროს.

მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგებია მიღებული გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილებაში. დამუშავებულია პირობითი ოპტიმიზაციის რიცხვითი პროცედურა ფილების, გარსების და დაკიდული სისტემების ტექნიკური თეორიის ამოცანების გადასაწყვეტად. ორგანიზაციული საანგარიშო პროცედურებით მიღწეულია ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დროისა და მეხსიერების მნიშვნელოვანი ეკონომია.

ზღვრული წონასწორობის თეორიის განყოფილების აქტიური მონაწილეობით რთული ფორმის გარსული ტიპის გადახურვების დაძაბული მდგომარეობისა და ზიდვითი უნარიანობის კვლევის საკითხებში ზღვრული წონასწორობის მეთოდის ეფექტიანი გამოყენებით შედგენილია საკავშირო მნიშვნელობის ორი ნორმატიული დოკუმენტი. მიღებული შედეგები დაინერგა სოხუმში. დიდმალიანი ორმაგი სიმრეფის გარსის მშენებლობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ინსტიტუტი რესპუბლიკაში კაპიტალურ მშენებლობას უთმობს, და ეს გასაგებია: ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რელიეფი და მაღალი სეისმურობა ძალზე ართულებს კაპიტალურ მშენებლობას. შემუშავებულია მშენებლობის ახალი პროგრესული ანტისეისმური კონსტრუქციები და ნიერგებათა კანდიდატს გ. დალაქიშვილს ნაშრომთა ციკლისათვის „ბეტონის შეკლებისა და ბზარმედეგობის გამოკვლევა ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდით“ საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია მიენიჭა.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული აგრეთვე საშენი მასალების ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის საკითხებში. ბეტონის ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის განყოფილებაში ბეტონის ძირითად თვისებათა სრულყოფის მიზნით შესწავლილია ცემენტის ქვის და ბეტონის სტრუქტურული მახასიათებლებისა და სიმტკიცის, დეფორმადობისა და ბზარიანობის დამოკიდებულებათა ხასიათი. მიღებული შედეგები პრაქტიკულად გამოიყენება 2 საკავშირო მნიშვნელობის ნორმატიულ დოკუმენტში და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის განკუთვნილ ბეტონის ძირითადი თვისებების ერთიან ნორმატიულ დოკუმენტში.

ძაბვად ცემენტზე დამზადებული ბეტონის ცოცავდობის და შეკლების კვლევისას პირველად მივიღეთ ძაბვადი ბეტონის ცოცავდობით გამოწვეული დანაკარგების საანგარიშო პარამეტრები სხვადასხვა ტენიანობის, ტემპერატურისა და დატვირთვების ინტენსიურობის დროს. მიღებული შედეგები გაერთიანდა მონოგრაფიაში „ბეტონის ცოცავდობა და შეკლება“, რომლის ავტორს პროფესორ ზ. წოლოსანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო პრემია მიენიჭა.

დასაწყისში აღვნიშნეთ, თუ რა შედეგი მოგვცა მეცნიერთა ჩარევამ სოფლის მეურნეობისათვის მეტად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის წარმოებაში. დამუშავების სტადიაშია მეთოდები და ახალი ტექნოლოგიური ხერხები ბეტონნაკეთობათა სიმტკიცისა და ხანგაძლეობის ასამაღლებლად ბეტონპოლიმერებისა და გოგირდით გაჟღენთილი ბეტონის დამზადების გზით. ამ მხრივ ძალზე პერსპექტიული აღმოჩნდა ბეტონის გაჟღენთა გოგირდით. საქართველოს სახმშენმა უკვე დაამტკიცა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც გოგირდით გაჟღენთილ ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიას ეხება. ლიოლოს რკინაბეტონის ნაკეთობათა № 2 ქარხანაში დაიწყო მეღორეობის ფერმებისათვის გოგირდით გაჟღენთილი ბეტონის გისოსებისა და ვენახების ჭიგოების გამოშვება, რაც ამ ნაკეთობათა სიმტკიცისა და კოროზიამედეგობის ამაღლების საშუალებას იძლევა.

წარმოებაში დანერგილი კვლევის შედეგების ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად ინსტიტუტში შექმნილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განყოფილება.

ინსტიტუტში განხორციელებული მეცნიერული კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვამ სახალხო მეურნეობას 6,5 მილიონი მანეთი დაუზოგა. საკმარისია თქვას, რომ მარტო ანტისეისმურ ღონისძიებათა დანერგვამ სეისმურად აქტიურ რაიონებში მაგისტრალურ მილგაყვანილობათა მშენებლობის დროს სახალხო მეურნეობას ერთი მილიონ 750 ათასი მანეთი საერთო ეკონომია მისცა. კვლევის მაღალ მეცნიერულ დონეს მოწმობს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით დანერგილია ათამდე საკავშირო ნორმატიული დოკუმენტი.

როგორია ინსტიტუტის სამომავლო ამოცანები?

ამკამად აქ ერთდროულად მუშავდება 5 საკავშირო მნიშვნელობის ნორმატიული დოკუმენტი: სამი სეისმომედეგობისა და ორი საშენი მასალების ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის დარგში.

დანერგვის პროცესშია სამი დამთავრებული სამუშაო სეისმური მიკროდარაიონების დარგში. შარშან დამთავრდა ახალი ტიპის მაღლივი საცხოვრებელი ექსპერიმენტული შენობების დინამიკური და სტატიკური გამოცდა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდით. მათი მასობრივი მშენებლობა დიდ ეკონომიკურ ეფექტს გვპირდება.

ინსტიტუტი წარმოებაში ნერგავს სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებულ გამოკვლევებსაც. მომზადებულია მშენებლობაში დასანერგავად კვანტური გადახურვების კონსტრუქცია და მათი ანგარიშის მეთოდიკა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდმალიანი საცავებისათვის.

ინსტიტუტი კვლავ დიდ დახმარებას გაუწევს სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებს ობიექტების რეკონსტრუქციისა და ავარიების დროს წარმოშობილი საკითხების გადაწყვეტაში.

ამ დაწესებულების კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის მასშტაბით მეცნიერული კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვის ორგანიზაციაში. მისი წინადადებანი უკვე მიიღო საქართველოს სახმშენმა. გარდა ამისა, შეტანილია წინადადება, რომ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში შეიქმნას ორგანი დაქვემდებარების ქვეგანაყოფები, სადაც სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოთავეობით შესრულდება წარმოებაში დასანერგავად გამიზნული ყოველი მნიშვნელოვანი სამუშაო, ცხადია, სათანადოდ შეთანხმებული კომპლექსური პროგრამის მიხედვით.

კ. ზავრიევის სახელობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვით მიღწეული მაჩვენებლები ნათლად მეტყველებს ინსტიტუტის კოლექტივის მეცნიერულ პოტენციალზე, მის უნარსა და შესაძლებლობებზე — კიდევ უფრო სრულყოფილი გახადოს მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთმოქმედების, ინტეგრაციის ის ფორმები, რომლებიც ახლა საჭირო და აუცილებელია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

თ. გოხუა,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ᲬᲘᲜᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘ

როგორ ეძიებენ რეზერვებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია და ზუგდიდის რაიონის დარჩილის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის საბჭოთა მეურნეობა



სურათებზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა მეურნეობის პლანტაციებში; მეურნეობის დირექციის მორიგი საწარმოო თათბირი. მარჯვნიდან: აგრონომიოფილების მმართველი პ. ბიგვავა, მეურნეობის დირექტორი რ. ჯალაღონია, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე მ. ნაყოფია, მეურნეობის მთავარი აგრონომი მ. ახალაია და პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ანთია.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ დაარსების დღე 3 ივნისია. სამოცდასამი წლის წინათ ამ დღეს მიიღო ქართველმა მკითხველმა გაზეთის პირველი ნომერი. ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის მშრომელებმა 45 წლის წინათ ამ დღის უწოდეს თავიანთ კოლმეურნეობას გაზეთ „კომუნისტის“ სახელი.

ხუთი წლის წინათ კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა, გაზეთის სახელი დარჩელელებმა შეინარჩუნეს. აქედან მოყოლებული საქმეც სახიკეთოდ შემობრუნდა. მეურნეობას ენერგიული, საქმის მოყვარე და მცოდნე კაცი რომ ჯალაღონია ხელმძღვანელობს. ეს რამდენიმე წელია მეურნეობა ისე მოღონიერდა, რომ მოგებასაც იძლევა.

ДАРЧИЛИ დიდი ლამაზი სოფელია, რომელიც კოლხეთის დაბლობზე საბჭოთა ხელისუფლების დროს აღორძინდა. მეურნეობის ეკონომიკაში მთავარი მეჩაიეობაა. როცა ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ხუთი-ექვსი წლის წინათ დარჩელი არაფრით არ გამოირჩეოდა, პირიქით, ვერა და ვერ ჩადგა მოწინავეთა რიგებში. მეურნეობის მთავარ ეკონომისტს ლუცია გოგიბერიას იმ ადრინდელი წლების გახსენებაც კი არ უნდა.

— მაინც გვითხარით რამე დარჩელის სოციალურ-ეკონომიურ მონაცემებზე. ვთქვათ, როგორია დემოგრაფიული ცნობები?

ლ. გოგიბერია: დარჩელი ჩვეულებრივი სოფელია, სადაც 1.200 კომლია 4.500 მცხოვრებით. აქედან 2.359 შრომისუნარიანია. ამბობენ ხოლმე, საერთოდ მცხოვრებთა რაოდენობაში ქალები უფრო მეტიაო. ჩვენთან კი პირიქით არის — 1.241 მამაკაცია, ხოლო 1.118 ქალი. მეურნეობაში 685 შრომისუნარიანია, საწარმო-დაწესებულებებში მუშაობს 848 კაცი; ჩვილბავშვიანი 166-ია, დიასახლისია — 253, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 54, ტექნიკუმებში — 52, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 42, სხვადასხვა კურსებზე — 18, საალდებულო-სამხედრო სამსახურშია 95 ახალგაზრდა. დანარჩენი მოსწავლეები და სკოლამდელი ასაკის ბავშვები არიან. მეურნეობაში 105 კომუნისტია. აი ის, რაც მოკლედ, ციფრებით შეგვიძლია ვთქვათ, — ამბობს მთავარი ეკონომისტი და, ვატყობთ, კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ საუბარში მოულოდნელად მეურნეობის ადგილკომის თავჯდომარე მამია ნაყოფია ერევა:

—ქალბატონო ლუცია, სოფლის მცხოვრებთა სურათი ნათელი რომ იყოს, უნდა ვთქვათ, რომ დროებით უმუშევარი 27 კაცია და რამდენიმე მუქთახორაც. ნუ გაგიკვირდებათ, დარჩელში ასეთებიც გვირევია. რა თქმა უნდა, ეს ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს დარჩელის ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგრამ განა არ ჯობდა დამნაშავე, უსაქმური არავინ ყოფილიყო?

რა თქმა უნდა, ჯობდა, მაგრამ სოფლის დიდ შრომითს ფერხულს, ეტყობა, თითო-ოროლა მაინც ვერ უწყობს ნაბიჯს. მეურნეობის პარტკომს, ერთობ უნარიან ახალგაზრდა კაცს ბორის ანთიას მიაჩნია, რომ დარჩელში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე ურიგოდ არ არის, მაგრამ რამდენიმე უკუღმართი მაინც რომ გამოერია, ეს ზოგერთი დარჩელელს ბრალია. პირადად ჩვენი ბრალიაო. მთავარი კი მაინც ის არის, რომ დარჩელში გულმხურვალე, სოფლის ერთგული და მოსიყვარულე, შრომიელი ადამიანები აბსოლუტური უმრავლესობაა და მათ არჩიეული გზიდან ვერავინ გადაახვევინებს. დარჩელელები დარწმუნდნენ, რომ ნორმალური ცხოვრება უშრომლად შეუძლებელია და ამიტომაც გამრჯედ მუშაობენ ჩაის პლანტაციებში, სიმინდის ყანებსა თუ ფერმებში. სწორედ შრომელთა უნარით, გარჯით, ცოდნის გამოყენებით იქმნება ის დიდი შემოსავალი, რომელიც მეურნეობას ყოველწლიურად ორ მილიონ მანეთამდე აქვს. შარშან მილიონ 641 ათასი მანეთი მოლიანი შემოსავალი უნდა მიეღოთ. საანგარიშო დარგის მუშაკთა ენით თუ ვიტყვით — ფაქტობრივად მიღებულია 1.800.000 მანეთი საერთო შემოსავალი. მოგება 236.000 მანეთია.

ხედავთ, დარჩელში ბოლო წლებში ისე წავიდა საქმე, რომ მოგებაზეც ვლაპარაკობთ, — სიამაყით ამბობს მეურნეობის მთავარი აგრონომი მელენტი ახალაია, — ჩვენს დირექტორს ამის გამხელა არ უნდა, სთქმელად არ ღირსო, სიმართლე გითხრათ, მე არ მერიდება. სოფელში, სადაც მოგების შესახებ ხუთი-ექვსი წლის წინათ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, ახლა ეს ციფრი სოლიდურად მიმაჩნია.

— ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უფრო მეტი მოგება გვქონდეს, ამბობს მეურნეობის დირექტორი როინ ჯალაღონია, — რეზერვები ბევრია, მაგრამ ყველას დროულად ამოქმედება, ეტყობა, ვერ შეგძელით. თავს არ ვიმართლებთ, უწინარესად დირექცია, პარტბიურო, სპეციალისტები, აქტივია დამნაშავე, რომ ჩვენს ხელთ არსებულ რესურსებსა და რეზერვებს დროულად ვერ მივაქციეთ ყურადღება. მაგრამ როცა იცი, რა უნდა გააკეთო და როგორ უნდა გააკეთო, უთუოდ შეძლებ ნაკლის გამოსწორებას.

ავიღოთ მეჩაიეობა, მეურნეობის სიმდიდრის ძირითადი დარგი. ჩაის პლანტაცია 395 ჰექტარზეა გაშენებული. აქედან 180 ჰექტარი სრულმოსავლიანია. წელიწადში გგმით 1.130 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს. გეგმას ბოლო წლებში გადამეტებით ვასრულებთ. შარშან 1.263 ტონა მივყიდეთ სახელმწიფოს. ჰექტარზე 60-ის ნაცვლად 72 ცენტნერი ნედლეული მივიღეთ, აქედან 74,8 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

რა თქმა უნდა, ჩაი ჩვენთან მოგებიანია, სახელმწიფო ნაშრომს კარგად გვინაზღაურებს. ხელით მოკრეფილი ნედლეული მაღალხარისხოვანია. მეჩაიეობა უფრო მომგებიანი იქნებოდა, ცენტნერი ჩაის ფოთლის წარმოებაზე 64 მანეთისა და 44 კაპიკის ნაცვლად 75 მანეთი და 98 კაპიკი რომ არ გვეხარ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

საქართველოს ციხეების ამონათება

რუსეთი და საქართველო ერთნაირად ცოცხლობენ ჩემს გულში, მათ აქ არაფერი ყოფს. ისინი ერთად არიან. სწორედ ამიტომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი ჩემთვის განსაკუთრებული აზრით აღსავსე დღესასწაულია. და ერთბაშად ვერც განსაზღვრავ, რა არის აქ საზოგადოებრივი, და რა — პირადი.

სპექტაკლ „ხანუმაში“ „კაცრს მიღმა“ ვკითხულობ გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკას:

ვინდ მეძინოს, მაინც სულში
მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე
მიზიხარ...

რა არის ეს — ლექსი ქალზე? რა თქმა უნდა. მაგრამ ჩემთვის ეს სტრიქონები, უწინარეს ყოვლისა, საქართველოსადმია მიმართული. და თავად სპექტაკლი „ხანუმა“, რომელიც ლენინგრადის სცენაზე უკვე ათ წელზე მეტია იდგმება და რომელიც ჩვენ წარმატებით ვაჩვენეთ სხვადასხვა კონტინენტის ბევრ ქვეყანაში, ჩემთვის გარკვეულწილად სამშობლოს ნოსტალგია იყო. მხიარულ, ხალისიან ვოდევილში არის ოდნავ შესამჩნევი სევდიანი ნოტი და ეს არის ჩემი სევდა, რომელიც გამოწვეულია საქართველოსთან განშორებით... მაგრამ საქართველოს გავშორდი, ასე ვთქვათ, „საწარმოო“ გარემოებებით, სულიერად კი ქართული კულტურა რუსულის შემდეგ ყველაზე ახლობელია ჩემთვის. და როცა ვხვდები ხოლმე, მაგალითად, ჩემს ძველ მეგობარს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს იოსებ სუმბათაშვილს, რომელიც, ისევე როგორც მე, ახლა რუსული თეატრის მოღვაწეა, შემოქმედებაზე საუბრისას კარგად გვესმის ერთმანეთის. ზოგჯერ სიტყვებიც კი არ გვჭირდება, საკმარისია ჟესტი, რომ გაიხსენოთ ის, რაც ბავშვობიდანვე გვაერთიანებს. ჩვენ ერთნაირად ვზეიმავთ, გვესმის და ვგრძნობთ საქართველოს, და მისდამი სიყვარული გვაახლოებს როგორც შემოქმედებს, ადვილსა და სასიამოვნოს ხდის ჩვენს ერთობლივ მუშაობას.

და დღეს, თბილისში რომ ჩამოვდივარ, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ, რომ შშობლიურ ქალაქში ვიმყოფები. აქ ბევრი რამ ახლაც კარგად არის ჩემთვის ნაცნობი, თუმცა გავიდა უკვე ამდენი ათწლეული, გაჩნდა ახალი უბნები. ჩემი დიდი ცხოვრების მანძილზე ვყოფილვარ პარიზსა და ტოკიოში, ნიუ-იორკსა და ათენში, რომსა და ბუენოს-აირესში... და უნდა მოგახსენოთ, რომ თბილისი, ჩემი აზრით, იმ რამდენიმე ქალაქთაგან ერთ-ერთია, რომელიც საბედნიეროდ არ დაემორჩილა არქიტექტურულ სტანდარტს. ბავშობიდანვე გონებაში აღმებეჭდა თბილისის სახე და უაღრესად დიდი ბედნიერება ვიგრძენი, როცა ვნახე აღდგენილი, თითქოს წარსულიდან მობრუნებული ძველი უბანი, რომელსაც მრავალი საუკუნის ბეჭედი აზის.

მივაბიჯეს ჩემი ბავშვობის ქუჩებში და ბაღი მიფანტალეულს მოგონებებისაგან. აქ, ამ მიწაშია ჩემი ფესვები. პაპაჩემი, დედაჩემის მამა, თბილისის რუსული გიმნაზიის დირექტორი იყო. აქ სწავლობდა დედაჩემი, მერე გაეგზავნა პეტროგრადს — „ფრეგელევის კურსებზე“, იყო იმხანად რუსეთის დედაქალაქში ასეთი პედაგოგიური ინსტიტუტი. აქ მან გაიცნო მამაჩემი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. მამა მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა რკინიგზელად, იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსი, მოგზაურებით თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტი. ჩემი გადაწყვეტილება — თეატრისთვის მეძღვნა მთელი ცხოვრება, მამაჩემს ელდად ეცა, რადგან უწდოდა, რომ ოჯახის ტრადიციისამებრ ინჟინერი გავმხდარიყავი. მაგრამ მამაჩემიც და დედაჩემიც ნამდვილი თეატრალები იყვნენ, და ჩემს პირველ სპექტაკლებს რომ დაესწრნენ, ბედს შეურიგდნენ, მიხვდნენ, რომ ჩემს საქმეს მოვკიდებელი. ზუსტად ნახევარი საუკუნე გავიდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე ჩემი პირველი პროფესიული დადგმის შემდეგ. მე კი მეჩვენება, რომ ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო... რადგან ჩემი მოწოდება ძალზე ადრე, ჯერ კიდევ სკოლის წლებში გაირკვა. ბავშვობიდანვე დიდად მაინტერესებდა თეატრალური ცხოვრება, რომლის დონე თბილისში იმხანად მეტად მაღალი იყო. წლად მხვდა ბედნიერება, მენახა კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“ და სხვა საოცარი სცენური ქმნილებანი, რომლებიც გამოირჩეოდა თეატრალობით, სანახაობრიობით, სადაც ბრწყინავდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც არიან უშანგი ჩხეიძე და ვერიკო ანჯაფარიძე. ვსაოგებლობ შემთხვევით და მინდა ძვირფას ვერიკო ანჯაფარიძეს, ჭეშმარიტად დიდ მსახიობს, შვეიცარიერ ადამიანს, გულწრფელად ვუსურვო ყოველივე საუკეთესო.

ეს იყო წლები, როცა მუშობდა ისეთი არაჩვეულებრივი რეჟისორი, როგორიც სანდრო ახმეტელია. მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში. მარჯანიშვილის მოწაფე სანდრო ახმეტელი თეატრალურ ძიებაში თავის ძნელ გზას ადგა და მას ეკუთვნის ბევრი შესანიშნავი მხატვრული აღმოჩენა. უნდა მოგახსენოთ, რომ არასოდეს მინახავს სახალხო სცენების აგების ასეთი დონე, რიტმულად ესოდენ ორგანიზებული, ისეთი ძალითა და ტემპერამენტით აღსავსე, როგორიც მის სპექტაკლებში ვნახე. ისინი ისე კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ მენახოს. უკეთეს, — „პროფორიენტაციას“ მე, როგორც მომავალი რეჟისორი, ვერც კი ვინატრებდი.

რა იყო შემდეგ? მუშაობა დაარს სპექტაკლის დროს გვერდითს ლოჟაში დგომა, მაყურებელთა დარბაზის „ტემპერატურის“ შეგრძნება, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი მუშაობის შედეგი.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრს ჩემი შემოქმედებითი ახალგაზრდობის პერიოდში ხელმძღვანელობდა თეატრალური საქმის ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორი კონსტანტინე იაზონის ძე შახ-აზიზოვი. და მოგვიანებით, როცა იგი უკვე მოსკოვში მუშაობდა, სწორედ მისი რჩევით დავდგი ცენტრალური საბავშვო თეატრის სცენაზე სპექტაკლი „სადღაც ციმბირში“. კონსტანტინე შახ-აზიზოვის რჩევა იღბლიანი გამოდგა. მალე გავხდი ლენინგრადის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი და ამავე სპექტაკლით დავიწყე ჩემი მოღვაწეობა ნევისპირა ქალაქში. ამგვარად, რუსეთში ჩემი პირველი ნაბიჯებიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული და ამ პერიოდმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თბილისურ ურთიერთობათა ნიშნით“ ჩაიარა. სიტყვამ მოიტანა და, ჩემმა ვაჟმა ალექსანდრემაც, რომელიც ახლა მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკის სახელობის დრამის თეატრის მთავარი რეჟისორია, ჩამოყალიბების დაახლოებით ასეთივე გზა განვლო. გრიბოედოვის თეატრში მუშაობის ოთხი წელი დაეხმარა მას მოვაოვებინა სრული დამოუკიდებლობა, მოენახა საკუთარი მხატვრული სახე.

ათასობით კილომეტრი მანძილი სულაც არ მიშლის ხელს ვიყო თბილისის თეატრალური ცხოვრების მთავარ მოვლენათა კურსში. სულითა და გულით მახარებს ახალი თაობის წამყვანი ქართველი რეჟისორების — თეიმურაზ ჩხეიძისა და რობერტ სტურუას წარმატებები. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, ჩემი შემოქმედებითი შვილიშვილები არიან, რადგან სწავლობდნენ ჩემს უსაყვარლეს მოწაფესთან, თვალსაჩინო რეჟისორთან მიხეილ თუმანიშვილთან და აი ახლა თავის გზას დადგომიან. სსრ კავშირის შექმნის საიუბილეო წელს მოსკოვის თეატრალური ცხოვრების მოვლენა გახდა სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც ჩხეიძემ დადგა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სცენაზე. ლენინგრადელი მაყურებელი კი დღემდე მადლიერებით იგონებს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის ტროეშფულ გასტროლებს— ჩვენ სიამოვნებით დაგუთმეთ მეგობრებს დიდი დრამატული თეატრის სცენა შემოქმედებითი ანგარიშისათვის.

ბოლო ათწლეულში საბჭოთა თეატრის თვალსაჩინო მოვლენად დავასახელებდი სტურუას სპექტაკლს „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც ვნახე თბილისშიც და ლენინგრადშიც. საქმე ის არის, რომ ბრეხტმა ამ პიესაში საქართველო წარმოადგინა როგორც ეგზოტიკური ქვეყანა, წყნარი ოკეანის ფიჯის კუნძულების მსგავსი. სტურუამ კი ბრეხტისეული სვლის მთელი პირობითობის მიუხედავად საქართველო წარმოადგინა ეროვნულად უტყუარი და დადგმამაც მაშინვე შეიძინა მსოფლიო ჟღერადობა. შემთხვევით როდი სარგებლობდა უდიდესი წარმატებით თბილისელთა სპექტაკლი მექსიკაშიც, იტალიაშიც, ინგლისშიც.

თავისთავად გამოდის, რომ, როცა დადგმისათვის ვირჩევ რომელიმე ეროვნულ პიესას, ბოლოს და ბოლოს მაინც ქართულზე ვჭერდები. ასე იყო წელსაც— ლენინგრადელებს გავაცანით უკვდავი „სამანიშვილის დედინაცვალი“. რასაკვირველია, ვიცნობდი დავით კლდიაშვილის ამ მოთხრობის მიხედვით მეტად საინტერესო და თავისებურ დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრში, მაგრამ გვინდოდა მოგვეგნო ამ კოლორიტული და სრულქმნილი პროზის საკუთარი სცენური ხორცშესხმა. და ისევე როგორც ძველად, კვლავ მოვიწვიეთ თანაავტორად ქართველები — სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, მისი მხატვრული სახე უმბათაშვილმა შემოგვთავაზა, ხოლო ქორეოგრაფიული ნაწილი განახორციელა ბალეტმაისტერმა იური ბარეკაევ, რომელმაც, სხვათა შორის, ცეკვები დადგა ჩვენს „ხანუმაშიც“. „სამანიშვილის დედინაცვალის“ პრემიერა ჩვენთვის ყველასათვის საესიხარულო მოვლენა იყო — ჩვენს სცენაზე კვლავ ამეტყველდა საქართველოს პატარა ნაწილი.

ჩემს სამუშაო კაბინეტში ყველაზე ძვირფას ფოტოსურათებს შორის არის ის ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია მეგობრული საუბარი სერგო ზარქაიაძესთან. მკერდზე გვიკეთია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ნიშნები. მაშინ ერთმანეთს შევხვდით მოსკოვში, სესიაზე. მანამდე კი ხშირად ვხვდებოდით თეატრში. ჩვენ ვმეგობრობდით როგორც ადამიანები და როგორც შემოქმედნი, და მე ვამაყობ ამ მეგობრობით. მისი მოწვევით შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში დავდგი გორკის დრამა „მდაბიონი“, ხოლო ზაქარიაძემ ტატერეგის როლი შეასრულა სპექტაკლში. შესანიშნავად შეასრულა. ეს იყო თეატრალური საქმის ფანატიკოსი ამ სიტყვის სრული გაგებით, გამოჩენილი მსახიობი და უკეთილშობილესი კაცი. ბევრი თავისი თვისებით იგი, ალბათ, განასახიერებდა მთელი ქართველი ერის საუკეთესო თვისებებს, რაც დაეხმარა მას, უკვე ხანდაზმულს შეექმნა ასეთი მონუმენტური და ღრმად ხალხური სახე ფილმში „ჯარისკაცის მამა“.

დაუვიწყარი სერგო ზარქაიაძე, ვულკანური მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, დახვეწილი, თავისთავადი მხატვარი ელენე ახვლედიანი, ნტერესო და თავისებურ დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრში, მაგრამ გვინდოდა მოგვეგნა ამ კოლორიტული და სრულქმნილი პროზის საკუთარი სცენური ხორცშესხმა. და ისევე როგორც ძველად, კვლავ მოვიწვიეთ თანაავტორად ქართველები — სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, მისი მხატვრული სახე უმბათაშვილმა შემოგვთავაზა, ხოლო ქორეოგრაფიული ნაწილი განახორციელა ბალეტმაისტერმა იური ბარეკაევ, რომელმაც, სხვათა შორის, ცეკვები დადგა ჩვენს „ხანუმაშიც“. „სამანიშვილის დედინაცვალის“ პრემიერა ჩვენთვის ყველასათვის საესიხარულო მოვლენა იყო — ჩვენს სცენაზე კვლავ ამეტყველდა საქართველოს პატარა ნაწილი.

ჩემს სამუშაო კაბინეტში ყველაზე ძვირფას ფოტოსურათებს შორის არის ის ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია მეგობრული საუბარი სერგო ზარქაიაძესთან. მკერდზე გვიკეთია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ნიშნები. მაშინ ერთმანეთს შევხვდით მოსკოვში, სესიაზე. მანამდე კი ხშირად ვხვდებოდით თეატრში. ჩვენ ვმეგობრობდით როგორც ადამიანები და როგორც შემოქმედნი, და მე ვამაყობ ამ მეგობრობით. მისი მოწვევით შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში დავდგი გორკის დრამა „მდაბიონი“, ხოლო ზაქარიაძემ ტატერეგის როლი შეასრულა სპექტაკლში. შესანიშნავად შეასრულა. ეს იყო თეატრალური საქმის ფანატიკოსი ამ სიტყვის სრული გაგებით, გამოჩენილი მსახიობი და უკეთილშობილესი კაცი. ბევრი თავისი თვისებით იგი, ალბათ, განასახიერებდა მთელი ქართველი ერის საუკეთესო თვისებებს, რაც დაეხმარა მას, უკვე ხანდაზმულს შეექმნა ასეთი მონუმენტური და ღრმად ხალხური სახე ფილმში „ჯარისკაცის მამა“.

დაუვიწყარი სერგო ზარქაიაძე, ვულკანური მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, დახვეწილი, თავისთავადი მხატვარი ელენე ახვლედიანი, გორი გეგეჭკორი, ეთერ გეგეშვილი, მიხეილ გიუმაშვილი, სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, ოთარ იოსელიანი, ლიონ ოსელიანი... და რამდენი ... ადამიანი მინდა კიდევ ... ამ მოკლე წერილში. კიდევ მინდა გავიხსენო საღამო, რომელზეც ვნახე ერთბაშად ყველა ჩემი თბილისელი მეგობარი — ასე აღნიშნეს ჩემი სამოცი წლის იუბილე საქართველოს კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ. ეს იყო, ალბათ, საუკეთესო საღამო ჩემს ცხოვრებაში (თუმცა, მართალი გითხრათ ოფიციალური საიუბილეო ღონისძიებანი არც ისე ძალიან მიყვარს). მაგრამ ამ შეხვედრას ახასიათებდა რაღაც განსაკუთრებული გულთბილობა, მჩქეფარე იუმორი და ოფიციალობის ნიშნწყალიც კი არ ეტყობოდა. და თითქოს თავისთავად წაიშალა ზღვარი სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის — იმდენად გასაოცარი იყო სიახლოვისა და ნათესაობის ეფექტი.

ყოველივე, რაც აქ დავწერე, კიდევ ერთი დაბრუნებაა ჩემს „ლაბაზ საქართველოში. უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა, რომ მე მას არასოდეს განშორებივარ, რადგან ქართული ენაზე ისევე თავისუფლად ვიზრავნებ, როგორც რუსულზე. და შეიძლება თავად ჩემი ცხოვრება თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი კულტურების ურთიერთობისა — არა დეკლარაციული, არამედ ძველ-ბიბლიში გამჯდარი ურთიერთობისა, რომელიც ცოცხალი შემოქმედებითი პრაქტიკა გახდა.

დასასრულ კი გავიმეორებ იმას, რაც დასაწყისში გითხარით, — რუსეთი და საქართველო ერთნაირად ცოცხლობენ ჩემს გულში.

გიორგი ტოვსტონოგოვი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, მ. გორკის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი.

ლენინგრადი.

---

2 ივნისი

უსოფელოდ

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

სსრ კავშირ-ესპანეთის ვოლაპარაკება

დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ფ. მორანის მოლაპარაკება.

დაძაბულობის კერების აუცილებელი ლიკვიდაციის საერთო თვალსაზრისით განიხილეს მსოფლიოს ზოგიერთი რაიონის, მათ შორის ცენტრალური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ვითარება. გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირი და ესპანეთი ერთნაირად უდგებიან იმ საკითხს, რომ კრიზისული სიტუაციები უნდა გადაიჭრაბოს მხოლოდ მოლაპარაკების გზით.

საბჭოთა მხარემ გამოთქვა შეშფოთება ცენტრალურ ამერიკაში, კერძოდ, კუბის, ნიკარაგუისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს გარშემო შექმნილი ვითარების გამწვავების გამო, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მტრული მოქმედების ობიექტს წარმოადგენენ.

მინისტრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ იმ რაიონში ვითარების ნორმალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ ყველა სახელმწიფო პატივს სცემს თითოეული ხალხის სუვერენულ უფლებას თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი, მტკიცედ დაიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფუძემდებელ პრინციპებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მხარს დაუჭერს ლათინური ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტრუქციულ მეცადინეობას ამ მიმართულებით.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის სახიფათო სიტუაციას, ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მიერ ლიბანისათვის თავსმოხვეული შეთანხმება გარიგებაა ლიბანის ინტერესების, არაბი ხალხების ინტერესების ხარჯზე. არსებითად ეს არის ისრაელის ჯილდო ლიბანში მისი აგრესიისათვის.

ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის განხილვისას ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება მთლიანად საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობის განვითარების გამო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მზად არიან მისი შემდგომი გაღრმავებისათვის.

ა. ა. გრომიკომ და ფ. მორანმა დაადასტურეს, რომ სსრ კავშირი და ესპანეთი აპირებენ კონტაქტების გაფართოებას პოლიტიკურ დარგში. ორივე მხარემ განაცხადა, რომ არსებობს შესაძლებლობანი ეკონომიკისა და ვაჭრობის დარგში საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის თანამშრომლობის გაფართოებისათვის, კულტურისა და მეცნიერების დარგში ურთიერთობისა და კონტაქტების განვითარებისათვის.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება აზრთა სასარგებლო გაზიარების გამო, რომელიც კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკადესი).

„ზვიდეულის“ თათბირმა მიზნებს ვერ მიაღწია

ჟურნალისტებთან რეიგანის საუბარმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თათბირის დროს ამერიკის მხარე ყოველნაირად ცდილობდა უკანა პლანზე გადაეწია პარტნიორებთან ეკონომიკური უთანხმოების განხილვა, რაც არახელსაყრელი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და ყურადღება მიეპყრო ყმაღიდან „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ წინაშე „დასავლეთის სამყაროს სოლიდარობის“ საკითხებისათვის.

მხოლოდ ასეთი „სოლიდარობა“, როგორც რ. რეიგანი ამტკიცებს, და უწინარეს ყოვლისა შეიარაღების დარგში მისი ადმინისტრაციის პოზიციებისადმი მოკავშირეთა მხარდაჭერა გაუჭირებენს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას.

თუ ვაშინგტონი და მისი პარტნიორები ნამდვილად აპირებენ მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას შეიარაღების შემცირების საქმეში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. მაგრამ თეორი სახლის პოზიცია ის არის, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკება დაუქვემდებაროს დასავლეთ ევროპაში ამერიკული ბირთვული რაკეტების ახალი თაობის განლაგების აგრესიულ გეგმებს. როგორც რ. რეიგანმა ცინიკურად განუცხადა კორესპონდენტებს, იგი არ ელის რაიმე სწრაფ და მესამნილ გაუმჯობესებას მეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ მოლაპარაკებაზე მანამ, სანამ „რუსები არ დაინახავენ, რომ ჩვენ ვიცავთ რაკეტების განლაგების დასაბულ ვადებს“. „ჩვენ გვაქვს ისეთი გენლაგების გრაფიკი, და ვაპირებთ დავიცვათ იგი“, — ხაზი გაუსვა მან.

ნიუ-იორკი. სი-ბი-ეს ტელეკომპანია იუწყება, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. კოლმა „გამოთქვა შეშფოთება ქვეყანაში ამერიკის რაკეტების განლაგებაზე შესაძლო უარყოფითი რეაქციის გამო“. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა ილაშქრებს ვაშინგტონისა და ნატოს ამ გეგმების წინააღმდეგ.

ჰ. კოლმა აგრეთვე თქვა, აღნიშნავს თავის მხრივ ენ-ბი-სი, რომ „შეერთებული შტატები იზოლაციაში აღმოჩნდა თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტის შესახებ საკითხის განხილვისას“.

უშიშროების საბჭოში

გამოუცხადეს უნდობლობა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაავალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გუიმარეოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებს სამხრეთ აფრიკის რეჟიმის მიერ უკანონოდ ოკუპირებული ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის უსწრაფესი მინიჭების პირობების შექმნის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 აგვისტოსა უნდა წარმოადგინოს მოხსენება კონსულტაციების შედეგების შესახებ.

ამრიგად, უშიშროების საბჭომ ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადა დასავლეთის სახელმწიფოთა ეგრეთ წოდებულ „კონკრეტულ ჯგუფს“ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ეს ჯგუფი შუამავლის როლს ასრულებდა პრეტორიასთან მოლაპარაკებაზე, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო კონტროლით ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგმის განხორციელებას. სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, ამ ჯგუფის „შუამავლობა“ ამოიწურა გეგმის საბოტაჟითა და რასისტებისათვის კვირის დაკვრით.

თავის რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ კვლავ დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, და უწინარეს ყოვლისა, თვით საბჭოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა მრავალტანჯული ნამიბიის ბედისათვის, გადაჭრით დაგმო მისი უკანონო ოკუპაცია აპარტეიდის რეჟიმის მიერ.

კულტურის ქრონიკა

„ალვანურის“ გასტროლები

ბოგოტა. *კოლუმბიის დედაქალაქში, ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს თეატრ „კოლონში“ დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ალვანურის“ გამოსვლები, რომელსაც ემზარ გაბელია ხელმძღვანელობს.* ქართველ მსახიობთა ჯგუფის შემადგენლობაში არიან აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ვალერი ლომსაძე, ორიგინალური ჟანრის მსახიობები რობერტ და ნატალია ზალინაშვილები.

მაყურებლები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ქორეოგრაფიული ჯგუფის მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ ცეკვებს, ქართულ ხალხურ სიმღერებს ვალერი ლომსაძის შესრულებით და ზალინაშვილების ოჯახის, თოჯინებით გამოსვლას.

საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილი მსახიობები ბოგოტაში სამ კონცერტს გამართავენ.

„ალვანურის“ გასტროლები

ბოგოტა. *კოლუმბიის დედაქალაქში, ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს თეატრ „კოლონში“ დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ალვანურის“ გამოსვლები, რომელსაც ემზარ გაბელია ხელმძღვანელობს.* ქართველ მსახიობთა ჯგუფის შემადგენლობაში არიან აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ვალერი ლომსაძე, ორიგინალური ჟანრის მსახიობები რობერტ და ნატალია ზალინაშვილები.

მაყურებლები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ქორეოგრაფიული ჯგუფის მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ ცეკვებს, ქართულ ხალხურ სიმღერებს ვალერი ლომსაძის შესრულებით და ზალინაშვილების ოჯახის, თოჯინებით გამოსვლას.

საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილი მსახიობები ბოგოტაში სამ კონცერტს გამართავენ.

ვინც მომაჯადოებელი ჰანგი გვაჩუქა

ახლა მის სახელს წარმოთქვამენ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებმაც სახელი გაუთქვეს მშობლიურ მიწა-წყალს, უწოდებენ მას ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს. მაგრამ ოდესღაც, ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა ხელში გიტარა აიღო და თავისი სახელგანთქმული თანამედროვის აკაკი წერეთლის ლექსი „სულიკო“ მომჯადოებელ ჰანგად აქციონა.

და დაიწყო სიმღერის ხანგრძლივი ბედნიერი სიცოცხლე. მას მთელ ქვეყანაში, მის საზღვრებს გარეთაც მღერიან. დღესაც იგი იმდენად პოპულარული, რომ ზოგჯერ გავიწყდება კიდეც, რომ მას ჰყავს ავტორი — ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა.

...პატარა იმერული სოფელი ცხრაწყარო. ბუნებამ უხვად დაჯილდოვა საქართველოს ეს კუთხე. აქ ცხოვრობდა ვარინკა წერეთელი, აქ ქმნიდა იგი თავის შესანიშნავ სიმღერებს. ამ მადლიან მიწაზე დაიმკვიდრა მან სამუდამო სასუფეველი. მისი მოკრძალებული საფლავი, რომელზეც ლირა და ბუმბულია გამოსახული, მაისის ამ დღეებში ერთული სიმღერის მრავალრიცხოვანი მოყვარულის ალოცვა ადგილად იქცა. ხალხური სიმღერის დღესასწაულზე, რომელიც მოაწყვეს პარტიის ზესტაფონის რაიკომმა და რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, ვარინკა წერეთლის სამშობლოში საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

ათასობით ადამიანი შეიკრიბა სოფლის მწვანე თეატრში. დღესასწაულის მონაწილეთა შორის არიან ვოკალური კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. შეკრებილთ დღესასწაული მიულოცეს პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა მამუკა ასლანიკაშვილმა და პოეტმა-აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ირაკლი აბაშიძემ.

შემდეგ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მხატვრულმა ანსამბლებმა და სოლისტ-შემსრულებლებმა. გამარჯვებულს დაადაცათ ვარინკა წერეთლის სახელობის პრემიები.

ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ შესანიშნავ ტრადიციას — ვარინკა წერეთლისადმი მიძღვნილ სიმღერის დღესასწაულს, ამიერიდან ყოველი წლის მაისის ბოლო კვირას რომ აღინიშნება.

დიახ, ეს სიმღერა მარადისობას ეკუთვნის, ვინაიდან არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია ნამდვილ ხელოვნებას აჯობოს.

მ. გაბრიაძე.
(საქინფორმის კორ.).

ინდოეთ-პაკისტანი

საფუძვლიანი შეშფოთება

დელი. *ზია-ულ-ხაკის სამხედრო რეჟიმი აპირებს გაამარადისოს ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატების იმ ნაწილის ოკუპაცია, რომელიც პაკისტანმა მიიტაცა.* როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამ მიმართულებით გადადგმული მორიგი ნაბიჯი გახდა სამხედრო ადმინისტრაციის გადაწყვეტილება „აკრძალოს ქვეყანაში იმ გაზეთების, ჟურნალების, დოკუმენტებისა და სხვა ბეჭდვითი გამოცემების შეტანა, რომლებშიც ქაშმირი ინდოეთის ტერიტორიის ნაწილადაა მოხსენიებული“.

პაკისტანის სამხედრო პოტენციალის გაფთრებით გაძლიერება, რასაც თან სდევს მისი ტერიტორიული პრეტენზიები, ინდოეთში საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. ვაშინგტონის მხარდაჭერით პაკისტანი „ახად ქაშმირს“ — ასე უწოდებენ ისლამაბადში ინდოეთის ოკუპირებულ ტერიტორიას — აქცევს მძლავრ პლაცდარმად, სადაც თავს უყრის ჯარებს, უახლეს საბრძოლო ტექნიკას.

კამპუჩია-ვიეტნამი

„ზვიდეულის“ თათბირმა მიზნებს ვერ მიაღწია

ჟურნალისტებთან რეიგანის საუბარმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თათბირის დროს ამერიკის მხარე ყოველნაირად ცდილობდა უკანა პლანზე გადაეწია პარტნიორებთან ეკონომიკური უთანხმოების განხილვა, რაც არახელსაყრელი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და ყურადღება მიეპყრო „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ წინაშე „დასავლეთის სამყაროს სოლიდარობის“ საკითხებისათვის.

მხოლოდ ასეთი „სოლიდარობა“, როგორც რ. რეიგანი ამტკიცებს, და უწინარეს ყოვლისა შეიარაღების დარგში მისი ადმინისტრაციის პოზიციებისადმი მოკავშირეთა მხარდაჭერა გაუჭირებენს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას.

თუ ვაშინგტონი და მისი პარტნიორები ნამდვილად აპირებენ მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას შეიარაღების შემცირების საქმეში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. მაგრამ თეორი სახლის პოზიცია ის არის, რომ საბჭოთა

ჯარეგის გაყვანა დამთავრდა

ჯაკარტა. *დამთავრდა კამპუჩიიდან ვიეტნამის სახალხო არმიის „კიულონგის“ კორპუსის გაყვანა.*

ვიეტნამის მოხალისეთა ჯარების მორიგი კონტინგენტის გაყვანა კამპუჩიიდან განხორციელდა კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის განცხადების შესაბამისად, რომელიც მიიღეს ინდოჩინეთის ქვეყნების უმაღლეს ხელმძღვანელთა თათბირზე ვიენტიანში მიმდინარე წლის თებერვალში, კამპუჩიის სახალხო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს კონკურსს

აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად



ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია 2500 მანეთის ოდენობით მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ სპეციალისტებს საუკეთესო ნაშრომისათვის გეოლოგიის დარგში.

პრემიის მინიჭება ხდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ალექსანდრე ჯანელიძის დაბადების თარიღთან დაკავშირებით (6 ნოემბერი).

დაწესებულ ვადაში გაუმართავი კონკურსი გაუქმებულად ითვლება და მომდევნო წლისათვის არ გადაიტანება.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად უნდა წარმოადგინოთ ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოადგინოთ როგორც ცალკეულ ავტორთა, ისე ავტორთა კოლექტივის შრომები.

კოლექტიური ნაშრომისათვის პრემია მიეცემა ხელმძღვანელებსა და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენენ წარმომდგენი ორგანიზაცია და საექსპერტო კომისია.

პრემიის მიმღებ თანაავტორთა რიცხვი 7 კაცს არ უნდა აღემატებოდეს.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითს, სამეცნიერო-საწარმოო ან სხვა დაწესებულებაში გეგმით ან გეგმის გარეშე, ან ცალკეულ პირთა მიერ საქართველოს გეოლოგიის საკითხებზე. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება გამონაკლისის სახით წარმოდგენილ იქნეს ავტორეფერატებიც ფარგლებს გარეთ გეოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული ნაშრომი, ოღონდ იგი გამოცემული უნდა იყოს არა უგვიანეს 6 თვისა ამ განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომლებსაც მიენიჭათ ლენინური პრემია, სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო პრემიები, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, დარგობრივი აკადემიების და სხვა უწყებათა სახელობითი პრემიები, ჯანელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საწარმოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სათანადო დარგის წამყვან მეცნიერთა ან სპეციალისტთა მიერ.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი დაასახელეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (მისამართი — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 52) უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა (წარწერით: „ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად"):

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ და პრაქტიკულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორის (ავტორთა) შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი);

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ლენინური, სახელმწიფო ან სხვა სახელობითი პრემია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ვისაც ოფიცრობა სურს

სამხედრო სასწავლებლებში მიღების პირობები

სამხედრო სასწავლებლებში, ინსტიტუტებში და სამხედრო-საჰაერიოფრო ფაკულტეტებზე იღებენ მამრობითი სქესის სამოქალაქო ახალგაზრდობას, ჯარის კაცებს, მატროსებს, ყველა გვარეობის ჯარის სერჟანტებსა და ზემდეგებს, სამხედრო სპეციალისტისა და სამსახურის ვადის მიუხედავად, თუ დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი, ჯანმრთელობის მდგომარეობით გარგისნი არიან სამხედრო სასწავლებლებისათვის და წარმატებით ჩაბარებენ საკონკურსო შესასვლელ გამოცდებს. მისაღებთა ასაკია 17-დან 21 წლამდე (17 წელი შესვლის წელს უნდა შეუსრულდეთ). ზოგადიანი სამსახურის პრაპორშჩიკებსა და სამხედრო მოსამსახურეებს სასწავლებლად იღებენ 23 წლამდე.

პრაპორშჩიკებს და მიჩმანებს უფლება აქვთ შეგიდნენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, მათ შორის საფრენოსნო სასწავლებლებში, პრაპორშჩიკის (მიჩმანის) ან ოფიცრის თანამდებობაზე ორი წლის სამსახურის შემდეგ, ზოგადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს ეს უფლება ენიჭებათ ორი წლის ზოგადიანი სამსახურის გავლისას.

ზოგადიანი და ზოგადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სასწავლებელში შესვლა უნდათ, 25 თებერვლამდე უნდა შეიტანონ პაკეტი ნაწილის მეთაურის სახელზე, ხოლო სამოქალაქო ახალგაზრდობამ — განცხადება რაიონულ სამხედრო კომისარიატში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესვლის წლის 30 აპრილამდე.

სამხედრო მოსამსახურის პაკეტში მითითებული უნდა იყოს სამხედრო წოდება, გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა. დაბადების თარიღი, ზოგადი და სამხედრო განათლება და იმ სამხედრო სასწავლებლის დასახელება, რომელშიც შესვლა სურთ. პაკეტს დაერთვის: საშუალო განათლების სატუთი (ატესტატის, მოწმობის, დიპლომის ასლი), პარტიული ან კომკავშირული დახასიათება, სამი დამოწმებული ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა — 4,5X6 სმ), ავტობიოგრაფია, სასამსახურო ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

სამოქალაქო პაბუკები განცხადებაში აღნიშნავენ: გვარს, სახელსა და მამის სახელს, დაბადების წელსა და თვეს, სახლის მისამართს და იმ სამხედრო სასწავლებლის დასახელებას, რომელშიც შესვლა სურთ. განცხადებას დაერთვის ავტობიოგრაფია, დახასიათება სამუშაო ადგილიდან ან სასწავლებლიდან, პარტიული ან კომკავშირული დახასიათება, საშუალო განათლების სატუთის ასლი (საშუალო სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ ცნობას მიმდინარე აკადემიური წარმატების შესახებ), დაბადების მოწმობის ასლი, სამი დამოწმებული ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 4,5X6 სმ).

კომკავშირელები, რომლებსაც სწავლის რეკომენდაციას კომკავშირის რაიკომები (საქალაქო კომიტეტები) აძლევენ, განცხადებას დაურთავენ კომკავშირულ საგზურს.

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას, საშუალო განათლების სატუთების დედანს და დაბადების მოწმობას კანდიდატი მიმღებ კომისიას წარუდგენს სასწავლებელში მისვლისას.

შესახსენელი გამოცდები ეწყობა შემდეგ საგნებში:

— უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებლებში: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა, სსრ კავშირის ისტორია და გეოგრაფია (ზეპირი);

— უმაღლეს სამეთაურო და საინჟინრო სასწავლებლებში, მფრინავებისა და შტურმანების სასწავლებლებში, სამხედრო-საზღვაო, ა. ო. მოჟაისკის სახელობის სამხედრო საინჟინრო ინსტიტუტში და მეტ წილ სხვა სამხედრო სასწავლებლებში: რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა (წერა), მათემატიკა და ფიზიკა (ზეპირი);

— საშუალო სამხედრო სასწავლებლებში: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (ზეპირი).

ლვოვის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელში შემსვლელნი მათემატიკის ნაცვლად გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), ხოლო **ქიმიური თავდაცვის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, ზურგის სასწავლებლებში, ქიმიის ფაკულტეტზე შემსვლელნი** — მათემატიკაში წერითი გამოცდის ნაცვლად აბარებენ ზეპირ გამოცდას ქიმიაში. **იაროსლავლის არმიის გენერალ ა. ვ. ხრულევის სახელობის უმაღლეს სამხედრო საფინანსო სასწავლებელში** ფიზიკის ნაცვლად ეწყობა ზეპირი გამოცდა გეოგრაფიაში.

სამხედრო ინსტიტუტში შემსვლელი კანდიდატები გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიასა და უცხო ენაში, ხოლო **ფიზიკური კულტურის სამხედრო ინსტიტუტში შემსვლელნი** — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიასა და ქიმიაში (ზეპირი), ფიზიკურ კულტურასა და სპორტში (პრაქტიკულად).

მოსკოვის ა. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ სამხედრო-საჰაერიოფრო ფაკულტეტზე შემსვლელნი გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი) და მუსიკაში: ჰარმონიასა და სოლფეჯიოს (ზეპირი), სამხედრო ორკესტრის ინსტრუმენტს და დირიჟორობას (პრაქტიკულად).

პრაპორშჩიკი და მიჩმანი კანდიდატები, როგორც წესი, შესასვლელ გამოცდას აბარებენ შეიარაღების მატერიალურ ნაწილში, მათემატიკაში, ფიზიკაში და საერთო-სამხედრო წესდებაში (ზეპირი).

სამხედრო სასწავლებელში ჩასული კანდიდატები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას, ხოლო უმაღლეს საფრენოსნო და სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში შემსვლელნი დამატებით გაივლიან პროფესიულ ფსიქოლოგიურ შერჩევას.

გარდა ამისა, ფიზიკური მომზადების შესამოწმებლად სამხედრო მოსამსახურე კანდიდატები პრაქტიკულად გამოიცდებიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო-სპორტულ კომპლექსზე ვარჯიშში, ხოლო სამოქალაქო ახალგაზრდობა — საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" ვარჯიშში.

იმ პირებს, რომლებიც პირადი მამაცობისათვის ან საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი შედეგებისათვის დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებიდა და მედლებით, ვადიანი და ზეგადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სულ ცოტა ერთი თვის მანძილზე საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრონტებში არიან და ეს გამოცხადებულია სამხედრო ნაწილისადმი ბრძანებაში, შესასვლელ გამოცდებში დადებითი შეფასებების მიღების შემთხვევაში უკონკურსოდ მიიღებენ.

პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა მედლით ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დამთავრეს, საშუალო სამხედრო სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან.

უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში შესვლისას ისინი გამოცდებს აბარებენ ერთერთ დისციპლინაში. თუ „ფრიადს" მიიღებენ, დანარჩენი გამოცდებისაგან თავისუფლდებიან, ხოლო თუ მათი შეფასება „კარგი" ან „დამაკმაყოფილებელი" იქნება, გამოცდებს ჩაბარებენ დანარჩენ დისციპლინებშიც.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის" საშუალო სამხედრო სასწავლებლებში შესვლისას თავისუფლდებიან შესასვლელი გამოცდებიდან იმ დისციპლინაში, რომლის წარმატებით შესწავლისთვისაც სიგელით დაჯილდოვდნენ, თუ ეს დისციპლინა შედის შესასვლელ გამოცდებში.

სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდები იმართება 15 ივლისიდან 5 აგვისტომდე (პრაპორშჩიკებისა და მიჩმანებისათვის — 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე), სამხედრო მოსამსახურეებისათვის გათვალისწინებული გასვლითი მიმღები კომისიები გამოცდებს ჩაიბარებენ 5 ივნისიდან 5 ივლისამდე.

სამხედრო კომისარიატები და ნაწილების მეთაურები შესასვლელ გამოცდებზე კანდიდატებს სასწავლებლების უფროსების გამოძახებით გზავნიან. კანდიდატები უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო მგზავრობით, ხოლო სასწავლებლებში ჩასვლისას — უფასო კვებითა და საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებლების, ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ყველა კურსდამთავრებულს ენიჭება ლეიტენანტის, ინჟინერ-ლეიტენანტისა ან ტექნიკური სამსახურის ლეიტენანტის წოდება, ეძლევა საკავშირო ნიმუშის დიპლომი უმაღლესი თუ საშუალო სამხედრო-სპეციალური განათლების შესახებ, და სამხედრო სასწავლებლის დამთავრების სამკერდე ნიშანი.

დაწვრილებითი ცნობები სამხედრო სასწავლებლებისა და იქ მიღების წესების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სამხედრო კომისარიატებში ან ნაწილების შტაბებში.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07631 საქართველოს კპ ს.კ.-ის გამოფენილობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ციფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 6 ივნისი

პირველი პროგრამა. 16.00 — ბავშვებისათვის — რუსული ენა. 16.30 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": მხატვრული ფილმი „საგაზაფხულო ოლიმპიადა ანუ გუნდის ხელმძღვანელი". 17.40 — განცხადებები. 17.45 — „მეცნიერების სამყაროში". — „ცეოლოგები — პრობლემები, პერსპექტივები". 18.20 — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი". 19.05 — ახალგაზრდობისათვის — „ჩვენი სტუმრები". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთელი სმცოცხლის მანძილზე" (მ.). 21.05 — „მოამბე". 21.35 — „ქართული ხალხური სიმღერები". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.40 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის" დღეებთან დაკავშირებით — „ამპავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „შინაური უცხოებში, უცხო შინაურებში".

მეორე პროგრამა. 16.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ნიკორწმინდა". 16.50 — პბიტურიენტთათვის — ქიმია. 17.35 — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის" დღეებთან დაკავშირებით. მხატვრული ფილმი „ქაფი".

სამშაბათი, 7 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.40 — გამოცდები, გამოცდები, 9.00 — „ვრემია". 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მორეულ ჩრდილოეთში". 10.00 — „მოამბე". 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ეკატერინეს სასახლე". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": მხატვრული ფილმი „ყველაზე ლამაზი ცხენი" და მულტფილმი. 12.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დნეპროპეტროვსკი". 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.30 — მულტფილმების პროგრამა. 16.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მორია გურჯისტანამდე". 17.30 — ბავშვებისათვის — „გზა მშვენიერებისაკენ". 18.15 — ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის — წყალბურთი. 19.05 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი" — „სპეკულაციას დაუნდობელი ბრძოლა". 19.25 — „ვენახი-83". გადაცემა I. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ჩვენი სტუმრები" — პორტუგალიის მუსიკალური ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი. 20.55 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მშობლიური ჩემი მიწავ" (რაიკომის მდგივანი). I სერია (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ლენინგრადის „ზენიტი" — თბილისის „დინამო". (7 ივნისის მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი). 23.25 — ცეკვავს მარინე ალექსიძე. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — მულტფილმი „აურზაური". 17.05 — განცხადებები. 17.10 — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის" დღეებთან დაკავშირებით. მხატვრული ფილმი „აზნაურთა ბუდე".

ხუთშაბათი, 9 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იოშკაროლა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი ქართული საგალობლები". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": მხატვრული ფილმი „შორეული ქვეყნები". 12.20 — დოკუმენტური ფილმი რესპუბლიკებისა და ბუნების კავშირი". 13.15 — მულტფილმი „პიკი-პირყვითელა". 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მულტფილმი „ჩრდილოეთის ზღაპარი". 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენს კვალდაკვალ მოვდივარ". 17.10 — „საესტრადო პანორამა". 17.55 — „ეკონომიკა ვის ტრაქტატს 200 წლისთავის გამო" — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ". 18.40 — „ვენახი-83". გადაცემა III. 19.00— „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი". შრომა — საზოგადოება — ადამიანი (მ.). 19.30 — „მხიარული ნოტები" (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ცეროდენას ეკრანი". 20.50 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მშობლიური ჩემი მიწავ" (რაიკომის მდგივანი). III სერია (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „სპარტაკი" — ქუთაისის „ტორპედო". 8 ივნისის მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.25 — კონცერტი. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დაბადება". 16.50 — განცხადებები. 16.55 — მულტფილმი — „ლილის სიმღერა". 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის სიმაბუკე". 17.30 — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის" დღეებთან დაკავშირებით. მხატვრული ფილმი „ტრაქტორისტები".

პარასკევი, 10 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ლუჯი ქალაქი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — დოკუმენტური ფილმი „სამი ესაზი". 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": ქართული მხატვრული ფილმი „დიდედები და შვილმოვლენები". 12.20 — მუსიკალური შესვენება. 12.25 — ფილმ-სპექტაკლი „მორეული". I სერია. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.00 — „ფილმ-სპექტაკლი „მორეული". II სერია. 15.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თაფლობის თვე". 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — მულტფილმების პროგრამა. 17.00 — ბავშვებისათვის — „საფერა შუქნიშანი". 17.55 — „ქართული ფოლკლორის მოამაგენი" — ვაჟა-ფშაველა. 18.45 — „ოქესალაქი, საზოგადოება, კანონი". „გზებსა და ზაზაგვარდიენებზე". 19.10 — კინონარკვევი. 19.25 — „ვენახი-83". გადაცემა IV. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ვენახი-83". გადაცემა V. 20.50 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე". 20.55 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მშობლიური ჩემი მიწავ" (რაიკომის მდგივანი). IV სერია (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.35 — ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობა. ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მექსიკიდან). 23.35 — გადაცემა „ჯეორჯ ბალანჩინი". 00.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პატარები". 17.05 — განცხადებები. 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „ყოფორჩ ბუშტი". 17.20 — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის" დღეებთან დაკავშირებით. მხატვრული ფილმი „ქალიშვილები — დედები".

შაბათი, 11 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეგები, თოგები". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მე ჩემი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — „ვრემია". 8.37 — მელოდიებიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ი. კეჩაყმაძე. სიმღერები. 11.15 — „ჩვენი ლაშქარი". დიალოგი ალეკო ბოგვერაძისა და ალეკო ბოგვერაძისგან. 11.40 — „ბავშვები-ბავშვებისთვის". „ბალიშ-ბალიშ-ერევანი". 12.05 — „ეროვნული ნაწარმოებები (დაბადების 70 წლისთავის გამო). 13.30 — ბავშვებისათვის. კონცერტი „მხიარული არდადეგები". 14.00 — თ. გოდერძიშვილი, „მიწისქვეშა სასახლეები". რადიოდოდგმა. 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის. მეომრებისათვის. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 18.00 — მსოფლიოს ერთი კვირის ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობიდანა. 19.00 — „შოლტი" რადიოჟურნალი. 19.30 — „ოჯახეს ი. ხეიფეიცი. 20.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ქუთაისის „ტორპედო"— „ზენიტი". 21.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.30 — „ახალგაზრდული სტუდია". „შეხვედრები ახალგაზრდა შემოქმედებთან" — მახარაძის თეატრის ახალგაზრდობა. 22.00 — „საღამო! მშვიდობისა! „მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.30 — საღამოს მელოდიები.

კვირა, 12 ივნისი

პირველი პროგრამა. 7.40 — „მიწა და ადამიანები" (მ.). 8.00 — „ბაზეი „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება. 11.15 — „პიონერთა დაფიონი" (მ.). 11.35 — „მუსიკალური რადიოოფიშა". 12.00 — „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები" — „მთავარის მოტაცება", კითხულობს ლ. ჩხეიძე. 13.30 — „კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე". კონცერტი-საუბარი (დაბადების 70 წლისთავის გამო). 14.30 — „ფიზიკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის". „ერთობლივი კვლევის სიკეთე". 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.15 — ბავშვებისათვის. რადიოდადგმა „კრაზანა". პირველი ნაწილი. 19.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!". 20.15 — მღერის ა. პუგაჩოვა. 20.25 — „თეატრი მიკროფონთან". „ჩვენი თანამედროვე". შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. 22.00 — „პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა": 23.30 — ქალაქური პანგები.

ორშაბათი, 6 ივნისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 9.25— „მემატიანე ახლისა და ძველის"— კ. გამსახურდია. 11.15 — „მეცნიერება და რელიგია". საუბარი „მეცნიერება და რელიგია ადამიანის ფსიქიკის საიდუმლო მოვლენათა შესახებ". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 11.40 — ბავშვებისათვის. „ზაფხუნი ვეგიხმობს, ზაფხული ვეგეძახის". 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწონავე სტატია. 12.15 — ქალაქური პანგები. 12.25 — „პოეზია! უპირველეს ყოვლისა" — მ. ქვლეფიძის ლექსები. 12.30 — ვ. დოლიძე. გუნდი და ცეკვები ოპერიდან „ეთო და კოტე". 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.45 — ბავშვებისათვის. კონცერტი „მხიარული არდადეგები". 13.30 — „ლიტერატურული კითხვა". ნ. დუმბაძე. „კუკარაჩა". 14.05 — ბ. ჩაიკოვსკი. მეორე სიმფონია. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ბავშვებისათვის. რადიოდადგმა „ამიხოტის საიდუმლო". მეორე ნაწილი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „საწარმოს ღირსება — შენი ღირსებაა". საუბარი. 19.15 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე". მიმოხილვა. 19.40 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.). 20.30 — „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მეშვიდე პლენუმზე". მიმოხილვა. 21.30 — კონცერტი. ა. ხაჩატურიანის ნაწარმოებები. (დაბადების 80 წლისთავის გამო). 23 30 — ლირიკული მელოდიები.

სამშაბათი, 7 ივნისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.40 — „გამოცდები, გამოცდები". 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — რ. ლაღიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ლელა". 11.10 — „ლენინური ინტერნაციონალური პოლიტიკის სიდიადე". საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. მრეველიშვილის ლექსები. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა". ნ. დუმბაძე. „კუკარაჩა". 14.05 — მღერის სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. მაზუროკი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „კომუნისტები". რადიონარკვევი „სივეარული სიყვარულის წელ". 19.20 — „სიმღერაც იბრძოდა". კონცერტი. 19.40 — „მომზრნენობით ვხარჯოთ სათბობი" (მ.). 20.30 — უკრავს გ. ქავთარაძე. 21:00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „ზენიტი" — თბილისის „დინამო". 21.45 — რადიოსადგური „სიჭაბუკე". 23.30 — ბახი. არიები კ. ფერიერის შესრულებით.

ოთხშაბათი, 8 ივნისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიებიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქალაქური პანგები. 11.15 — „პარტიული ცხოვრება". საუბარი „ორმხრივად სასარგებლო კონტაქტები". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა". ნ. დუმბაძე, „კუკარაჩა". 14.05 — კონცერტი. ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ტრადიცია და თანამედროვეობა". რადიონარკვევი „შრომისმოყვარეობა". 19.15 — „ქართული ხალხური სიმღერები. 19.40 — „თბილისი-ბაქო-ერევანი". რადიოჟურნალი (ბაქოდან). 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „სპარტაკი" — ქუთაისის „ტორპედო". 21.45 — „საერთაშორისო დღიური" (მ.). 22.00 — დ. ბადრიძის კონცერტი. 22.15 — რ. გამზათოვი, „ჩემი დაღესტანი". ნაწყვეტები. 23.30 — ჯ. გერშვინი. სიმფონიური სურათი „პორგი და ბესი".

ხუთშაბათი, 9 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.00 — გაზეთი „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიებიდან მელოდიამდე. 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.15 — „როგორ ვიგებნებთ ბუნებრივ სათიბ-სამთოვრებს". საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.20 — „ახალგაზრდული სტუდია". „ახალი სახვები" — ახალგაზრდა მედიკოსი თ. მგელიაშვილი. 12.35 — ქართული სპპალეტო მუსიკა. 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.50 — „სცენის ოსტატები". სცენა სპექტაკლიდან „კოლმეურნის ქორწინება". გ. შავგულიძის, ა. კვანტალიანის და თ. თეთრაძის მონაწილეობით. 13.30 — ლიტერატურული კითხვა. ნ. დუმბაძე, „კუკარაჩა". 17.15 — ბავშვებისათვის. კონცერტი „მხიარული არდადეგები". 17.35 — ბავშვებისათვის. რადიოდადგმა „ბული". 18.00 — ავზაზეთის ასსრ ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი". 19.20 — მღერის ლ. სეიერსი. 19.40